აგვისტო
1937 წ.
№ 138

# დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
AOUT
1937 — № 138

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

შინაარსი:

მეთაური—სტალინი—ბონაპარტი!
სან. მანი—ისტორიული თარიღი.
ფარშაისელი—ბოლშევიზმის აგონია.
ბ. ა.—სისხლის ახალი ტალღები.
ილია ნუცუბიძე—მორტიუსიის კვანძი.
რას სწერენ სომხური გაზეთები.
W.—საქართველოში (უცხ. შთაბეჭდილებები).
უცხოეთის მიმოხილვა.
у.—ადამიანის უფლებათა ლიგის კონგრესი.
გერმანული პრესა საქართველოზე.
«სიკვდილის ბანაკები საბჭ. რუსეთში».
ვ. გუნია—მკითხველის წერილები. და სხვ.

## სტალინი—ბონაპარტი!

25 ივლისს «პრავდა» ათავსებს საბჭოთა განთქმულ ჯალათ-პროკურორის ვიშინსკის წერილს, სათაურით «სოციალისტური კანონიერება და საბჭოთა პროკურატურა». აი რასა სწერს, სხვათა შორის, ვიშინსკი: «პროკურატურის მთავარი საზრუნავი საგანი, ჩვენს დროს, მოქალაქის კერძო საკუთრების, მისი შრომის შემოსავლის და გადანახულის სრული უზრუნველყოფა არის. ასევე ხელუხლებელი უნდა გახადოს პროკურატურამ მოქალაქის სადგომი სახლი, საოჯახო მეურნეობა, პირადი მოსახმარი საგნები და მოწყობილება, ისე როგორც მემკვიდრეობის უფლება კერძო საკუთრებისა».

მკითხველს ახსოვს ალბად, რომ მთელი ეს დებულებანი თითქმის სიტყვა-სიტყვით ამოწერილია სტალინის ახალი კონსტიტუციიდან, და ამით ისინი განსაკუთრებული მნიშვნელობისა არიან. ნუ დავიწყებთ, ამ ორიოდე თვეში არჩევნები უნდა მოხდეს «უმაღლეს საბჭოს» წევრებისა, და ვიშინსკი, დიქტატორის სახელით, ერთგვარ საარჩევნო პლატფორმას შლის საბჭოთა «თავისუფალ» მოქალაქეთა წინაშე, რათა მათ «დიდი სტალინის» მომხრენი გაიყვანონ.

მაგრამ ეს კიდევ არაა მთავარი ამოცანა, თავის მომხრეთა გაყვანა არც ისე ძნელი საქმეა, თუ გინდ «უდემოკრატეს კონსტიტუციის» თანახმად, ოღონდ დღეგრძელ იყვნენ გეპეუსტები. თავი და თავი ამოცანა სულ სხვაა და ჩვენც ამაზე გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება.

ვის პირდებიან კერძო საკუთრების, ყველა მისი ფორმების დაცვას? პირველ რიგში, გლეხობას, სახელმწიფოს უდიდეს ძალას, როგორც რაოდენობით, ისე თვისებით, სალდათის ფარაჯაში. თუ ეს ნაწილი მოსახლეობისა ნივთიერად დაკმაყოფილებულ იქნა, თავის თავად ცხადია, სტალინს თამამად შეუძლია გული საგულესა ჰქონდეს და ანგარიშიც არ გაუწიოს მოსახლეობის მეორე და უმცირეს ნაწილს.

და რაც საინტერესოა, მან ეს პლატფორმა ისესხა არა მარქს-ენგელსისგან, არამედ პირველ ბონაპარტისგან! სტალინი პირველი არ მიმართავს ამ განთქმულ სარდლის მაგალითს, ლენინმა გაუსწრო მას, როცა 1921 წ. «ნეპი» შემოიღო, მაგრამ მისმა ულაზათო მოწაფემ ხომ 1928 წ. დაანგრია იგი, და ეხლა კი ლამობს მის ნაწილობრივ აღდგენას.

მაშ რად დასჭირდა «ხალხთა მამას» საყოველთაო კოლექტივიზაცია, ათეულ მილიონ გლეხების ფიზიკური გაჟლეტა, გადასახლება, განადგურება, თუ შემდეგ კერძო საკუთრების «ღვთაებრივ» უფლების აღდგენა-დამკვიდრებას შეუდგებოდა? რად წამოუყენა მისმა დამქაშმა ვიშინსკიმ ზინოვიევ-რადეკ-ბუხარინებს კაპიტალიზმის აღდგენის განზრახვა მთავარ ბრალდებად? მაგრამ ხომ ვიცით, როგორია მისი პრიმიტიული ხერხი: ჯერ ოპოზიციის თავიდან მოშორება, შემდეგ მისი სოციალ-პოლიტიკურ პროგრამის თავისად ქცევა და განხორციელება.

ევროპის პრესაში ბევრი იწერება, ამ უკანასკნე-

ლად, სტალინის «სახელმწიფოებრივ ზომებზე და განკარგულებებზე». არ შეიძლება ითქვას, რომ მემარცხენენი, პირველ რიგში, სოციალისტები ძალიან კმაყოფილნი იყვნენ; სამაგიეროდ მემარჯვენენი თითქმის ერთხმად ქვეყნის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების უდიდეს ცდად სთვლიან მას. რომში, უნდა ითქვას, ყველაზე მჭერმეტყველურად დაასაბუთეს ეგ: კომუნისტურ იდეოლოგიის დევნა, ნაცად და დამსახურებულ ბოლშევიკების გადაყენება, თვით მოსპობაც და იმავე დროს კერძო საკუთრების აღდგენა, მსხვილი წარმოების სახელმწიფოს მიერ წარმართვით—ყველა ეს დიდად უახლოვდება ფაშისტურ რეჟიმს, და ამიტომ, თუ ეს პროცესი ამ რიგად გაგრძელდა, ჩვენ არაფერი გვექნება რუსეთის დიქტატორის წინაამდეგ და ენასაც გამოვნახავთ მასთანო.

მაშასადამე, იბადება კითხვა, შესძლებს თუ არა სტალინი ქვეყნის ნორმალიზაციას და თავის ბატონობის შენარჩუნებას? არის თუ არა კერძო საკუთრების პაწაწკინა, უკუდო საოჯახო მეურნეობაზე აღდგენა ის საეპოქო ძირითადი რეფორმა, რომლითაც ბონაპარტმა საბოლოოდ დაიპყრო გლეხობის გული და მით შესაძლებელი გახადა თავისი შესანიშნავი გამარჯვებანი ომებში? არა, რასაკვირველია. სტალინი დიდად ჩამოურჩება ამ მხრივ თვით ლენინსაც, რომლის «ნეპი», ყოველ შემთხვევაში, თუ მიწის ნაციონალიზაციას ძალაში სტოვებდა, სინამდვილეში გლეხები ფლობდენ და ამუშავებდენ შეუზღუდველად როგორც თავის, ისე «პომეშჩიკებისგან» ახლად წართმეულ მიწებს. სტალინის კანონით, მიწების ცხრა მეათედი, თუ არა მეტი, კოლმეურნეობას უჭირავს, მაშასადამე, ქცეულია ერთგვარ სახელმწიფო სამონო პლანტაციებად. მართალია, უკანასკნელად მრავალი სოვმეურნეობა გააუქმეს, მაგრამ მათი მიწები ისევ კოლმეურნეთ მიუჭრეს, და გლეხთა საოჯახო მეურნეობა მხოლოდ კოლმეურნეობის უბრალო დამატებად ითვლება, რომლის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ გლეხობა სიმშილით არ ამოწყდეს და კოლპლანტაციები უმუშახელოდ არ დარჩეს.

თქვენ გახსოვთ გაზეთების ცნობა, რუსეთის ერთ კუთხეში გლეხებმა, «კონსტიტუციის ძალით», ერთი დიდი კოლმეურნეობა დაშალესო და კრემლმა კი სასტიკი ზომები მიიღო მის აღსადგენად და დამნაშავეთა სამაგალითოდ დასასჯელადო. ეს საინტერესო ეპიზოდი უდაოდ გვიჩვენებს, ერთის მხრით, გლეხების შეურიგებლობას კოლმეურნეობასთან და, მეორეს მხრით, სტალინის მტკიცე გადაწყვეტილებას, ძალაში დასტოვოს უკანასკნელი. ან კი როგორ შეუძლია მას გადაუხვიოს ამ გზას! განა დაგვავიწყდა, რამ გამოიწვია იგი? გლეხების სისტემატიურმა წინაამდეგობამ—არ აძლიონ სახელმწიფოს, თითქმის მუქთად, მათი მოსავალი. წინაამდეგობა ისეთი ძლიერი იყო, რომ გლეხებმა სანახევროდ ხელი აიღეს მიწების დამუშავებაზე და მათი მიზანი კი ქალაქების ნამდვილი დამშევა იყო.

სწორედ მაშინ დაებადა დიქტატორს აზრი ბარბაროსული კოლექტივიზაციისა და «სოციალიზმის ერთ ქვეყანაში განხორციელებისა». აი აქ ჩატყდა სამუდამოდ ხიდი სტალინსა და ტროცკის შორის, და უკანასკნელი მხოლოდ იცავდა ლენინის, აქედან მარქს-ენგელსის აღთქმას, რომ სოციალიზმი შეიძლება მიღწეულ იქნეს საერთაშორისო მასშტაბით, და ისიც ყველაზე დაწინაურებულ ინდუსტრიალურ ქვეყნებში. სტალინის «გენიოსობა» კი იმაში მდგომარეობს, რომ მან ყველაზე ჩამორჩენილი ხმელეთის მეექვსედი გახადა ასეთ საცდელ მინდვრად!

განა ასეთი უტოპიური ცდის უნიადაგობას ის თვითონ არ გრძნობდა? გრძნობდა და კიდევ როგორ,—ამიტომ შეუდგა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, ხუთწლედების საშუალებით. და ამას, ცოტად თუ ბევრად, მან მიაღწია სოფლის ქალაქისათვის ზვარაკად მიტანით. უკაპიტალო საბჭოთა კავშირი, რა თქმა უნდა, ვერ შესძლებდა «გიგანტების» აგებას, თუ გლეხს უკანასკნელი პერანგი არ გაეძრობოდა «სოციალისტურ სამშობლოს» შესანახად.

ამრიგად, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, მთელი წარმოება და ვაჭრობა სახელმწიფოს ხელში აღმოჩნდა, რაიცა სინამდვილეში ნიშნავს დიქტატორის და მის უამრავ დამქაშების მთელი ამ საქმიანობის და მისი ნაყოფის ბატონ-პატრონად გამოცხადებას. «სოციალისტური სექტორი», როგორც ამბობენ ბოლშევიკები, 90 პროცენტს აღემატება, აქედან ცხადია, რა რჩება ინდივიდუალურ სექტორს სოფელსა და ქალაქში...

ჩვენი მკითხველისთვის არაა სულაც საჭირო ამ ანალიზის გაგრძელება იმის ნათელსაყოფელად, თუ რამდენად სცდებიან უცხოელნი, ვითომ სტალინის უკანასკნელი «ზომები და განკარგულებანი» საბჭოთა სახელმწიფოს ნორმალიზაციას, ან კიდევ კონსოლიდაციას მოასწავებდეს. სტალინი ვერას გზით ვერ შესძლებს გლეხების ნივთიერად დაკმაყოფილებას, მაშ ის ვერ გახდება «გლეხთა იმპერატორად», მზგავსად ბონაპარტისა. უმნიშვნელო დათმობანი კერძო საოჯახო მეურნეობაში მხოლოდ

ალიზიანებს გლეხებს და მეტ მადას უღვიძებს მათ რევოლუციით მოპოებულ და ბოლშევიკების მიერ ავაზაკურად წართმეულ მიწების დასაბრუნებლად.

რაც შეეხება მუშებს და ქალაქის სხვა მშრომელთ, მართალია, ამათზეც ვრცელდება სტალინის დათმობანი კერძო საკუთრების სფეროში, მაგრამ რამდენად მოჩვენებითა ეს წყალობა! ქოხების შეძენას ან გადანახვას ვინ დაგიდევთ, როცა კუჭის გასაძღომსაც არ სტოვებს მათი ხელფასი. განა არ ვიცით, რომ ევროპის უმუშევარს მეტი ეძლევა, ვინემ საბჭოთა მომუშავეს? ჩვენ ვლაპარაკობთ, თავის თავად მისახვედრია, დიდ უმრავლესობაზე, თორემ უმცირესობა, თვით დიქტატურის სამსახურში ჩაბმული, უმეტესად მის ლაქიად ქცეული, მექრთამე, გარყვნილი, ხომ დიდი ხანია არ ითვლება ნამდვილ მუშათა რიგებში.

აი, საიდან წარმოსდგა და გრძელდება მასიური ტერორი, რომელსაც სტალინი აწარმოებს ყველასი და თვითეულის მიმართ. საერთო უკმაყოფილება და გამწარება დიქტატურის წინაამდეგ პროგრესიულად მატულობს. ამით აიხსნება ტერორის პროგრესიული გაძლიერებაც, რაიცა, თავისთავად ცხადია, არ შეჩერდება, სანამ თან არ ჩაითრევს და არ მოსპობს მის ავტორს «დიდ სტალინს», აქედან—საარაკოდ ქცეულ უსაშინლეს რეჟიმს.

## ისტორიული თარიღი

ცამეტი წელიწადია, რაც ქართველი ერი იარაღით ხელში აღსდგა ოკუპანტების წინაამდეგ; თავისუფლების და დამოუკიდებლობის დროშა ააფრიალა და მტარვალთ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა.

ოცდა ოთხის აგვისტომ ერი გააერთიანა. ყველა მისი ნაწილები ერთი სულით და მისწრაფებით შედუღდა. ქართლ-კახეთი და იმერეთი, გურია და სამეგრელო, ამაყი სვანეთის არწივები, აფხაზეთი და სამუსულმანო საქართველო 24 წლის სისხლიან დღეებში განიბანენ; ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლო ფიცი მისცეს და სამშობლოს აღდგენის ეკლიან გზაზედ დაირაზმენ. 1921 წელში რუსეთის ჯარებით დამარცხებულნი,—ოცდაოთხში აღდგომას შეეცადენ, მაგრამ ფიზიკურად საქართველო კვლავ დამარცხდა. მტერმა ერთხელ კიდევ მის ცოცხალ სხეულზე გაინავარდა. მას აქეთია საქართველო ხან იქ, ხან აქ მტრის ციხე-სიმაგრეებზე იერიშით მიდის. მისი ბრძოლა, ვით აზვირთებული ზღვის ტალღები, დროს და გარემოების მიხედვით, ხან მძაფრდება, ხან ნელდება, მაგრამ არასოდეს დუმდება. იცვლებიან და ქრებიან მისი ჯალათები,—ქართველი ერი კი დღესაც იქ დგას, სადაც იგი მუდამ იყო—თავისუფლების და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე, ამაყად თავაწეული, უშიშარი და გაუტეხელი. ვინ მოსთვლის, 1921 წლიდან რამდენი მედროვე და მოიშორა. აბა ვის არ ახსოვს აგვისტოს სისხლიან დღეებში ლომინაძეების, კახიანების, ორჯონიკიძეების, გეგეჭკორების, მდივნების, ტოროშელიძეების და სხვათა გაშმაგებული ყეფა დახოცილ გმირთა საფლავებზე? მერე, სად არიან ეს ერთდროს «უტეხი» ბოლშევიკები, რუსის ჯარის გზის მაჩვენებელნი, მოსკოვის შინაყმები და სამშობლოს მოღალატენი? ზოგნი იმავე მოსკოვის ხმლით დაიხოცნენ, და ზოგნიც უგზო-უკვლოდ ბერიას დაუფრთხია.

ორჯონიკიძე არ შემცდარა, როდესაც ნაძალადევში, აგვისტოს ამბებით დამფრთხალი გაიძახოდა: «საქართველოში ჩვენ ყველანი მხარს გვიჭერენ, გარდა ქართველებისა»-ო. ეს იყო ჯალათის აღსარება და ქართველი ერის უდიდესი მორალური გამარჯვება. მართლაც, დღემდის მოსკოვმა საქართველოში, გარდა არაქართველისა ვერავინ მიიმხრო. ამიტომაც კახიანი—იმ დროს ყოვლის შემძლე, დღეს კი იმავ მოსკოვის მიერ უგზო-უკვლოდ დაკარგული—ქართველ ერს «თავის გაჭეჭყით» ემუქრებოდა.

აგვისტოს დამარცხება ბოლშევიკებმა ქართველი ერის საბოლოო დამორჩილებად ჩასთვალეს. მისი მეთაური პოლიტიკური პარტიები საგარეოდ «დაშლილად» და «განადგურებულად» გამოაცხადეს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ქართველი ერი აგვისტოს შემდეგაც ისევ მთლიანი და შეურიგებელია, როგორც აგვისტოს დღეებში. ეს მალე ნათელყო 29-30 წლების გლეხთა გამოსვლებმა, აჭარის და სამეგრელოს მასიურმა მოძრაობამ. აქაც სისხლი და წამება, სავსე ციხეები და საკატორღო «ბანაკები», მოსკოვის და მისი მაწანწალა ქართველ კომუნისტების თავაშვებული თარეში! აქედან იწყება საქართველოს და ქართველი ხალხის «საბოლოო დამორჩილება». აქ ეროვნული და არალეგალურად მომუშავე პოლიტიკური პარტიები «დაშლილად» ცხადდება. თითქოს ყოველივე შეწყდა, აგვისტოს მთლიანობა საბოლოოდ დაიშალა, ხალხი გატყდა და მოსკოვს დაემორჩილა. დღევანდელმა მედროვემ (მაგრამ სანამდე?) ბერიამ თავის კარიერის დასაწყისში ეს ქვეყანას დიდი რიხით ამცნო. 1932 წელს კომპარტიის ყრილობაზე მენშევიკები და სხვა ნაციონალური პარტიები სამუდამოდ «დასაფლავებულად» გა-

მოაცხადა. ხოლო «თითო-ოროლა პიროვნებს. ამ კონტრ-რევოლუციონურ ნაშთებიდან, მალე ბოლოს მოუღებთ»-ო—ანუგეშებდა თავის მრევლს. ამ დღიდან ყოველგვარი პოლიტიკური მოძრაობა «ბანდიტიზმად» გამოცხადდა და მთელს საქართველოში ბერია და მისი დამქაშნი გაურბოდენ მოვლენისათვის საჯაროდ თავისი სახელი დაერქვათ. ეროვნულ მოძრაობის «ბანდიტიზმად» მონათვლა ჩეკამ ადვილად შესძლო, მაგრამ შეუძლებელი გახდა მისი ნამდვილი სარჩულის დიდხანს დამალვა.

და აი დღეს, იგივე ბერია კომპარტიის 15 მაისის ყრილობაზე იძულებულია სინამდვილე აღიაროს, ქართველი ერის ბრძოლას ნამდვილი სახელი დაარქვას და იგი დღის სინათლეზე გამოიტანოს აღმოჩნდა, რომ ეს ათასჯერ «დაშლილად» და «განადგურებულად» გამოცხადებული ანტისაბჭოთა ძალები, არამც თუ არ დაშლილან, არამედ ისე გაზრდილან, რომ ბერიას და მის ხაზეინს კრემლს ძილს უფრთხობენ. მათ იმდენი ძალა, გავლენა და ორგანიზაციული სიმტკიცე შერჩენიათ, რომ ხელისუფლებას სერიოზულ გართულებებს უმზადებენ. «ჩვენ უნდა გვახსოვდეს და არ უნდა დავივიწყოთ—ამბობს კავკასიის «ნამესტნიკი»—რომ მომავალ არჩევნებში კლასური მტერი შეეცდება, ხელი შეუშალოს მშრომელ მასებს, საბჭოებში აირჩიონ ჩვენი ქვეყნის მართლაც ღირსეული და მოწინავე პირები. არჩევნებში ჩვენს მიერ დაშვებულ მცირეოდენ შეცდომას ისინი შეეცდებიან გამოიყენონ» (პრავდა» 5 ივლისი 37 წ.). ეს არაფერია, რომ საქმე ამით თავდებოდეს და «განადგურებული» პარტიები მარტო არჩევნების ჩაშლით იმუქრებოდენ. თურმე ნუ იტყვით, ეს «მენშევიკები, ნაც.-დემოკრატები, ფედერალისტები და სხვები» კვლავ მკვდრეთით ამდგარან; ზღაპრულ მდევივით «მოკვეთილი თავი» გაორკეცებით გამოუბამთ და არამც თუ იბრძვიან და გარს იკრებენ ხელისუფლების მოწინაამდეგე ელემენტებს, არამედ იერიშზე გადასულან; ოკუპანტების ციხე-სიმაგრე კომპარტიის რიგებში შეჭრილან და თავის გავლენის ქვეშ დაუყენებიათ ისეთი მამალი კომუნისტები, როგორიც იყვენ ბ. მდივანი, მ. ტოროშელიძე, მ. ოკუჯავა, ს. ქავთარაძე, ნ. კიკნაძე, ღოლობერიძე და სხვები. არა გჯერათ? მოუსმინეთ სტალინის დღევანდელ «ნამესტნიკს».

იგი ამბობს: «პარტიულ კრებებზე და კონფერენციებზე სერიოზული ყურადღება ექცევოდა ანტისაბჭოთა პარტიების მენშევიკების, ნაც.-დემოკრატების, ფედერალისტების და სხვ. კონტრ-რევოლუციონური მავნებლობის ფორმების და მეთოდების გამოაშკარავებას, ამის შედეგად აღმოჩენილ იქნა... ტროცკისტების ჯაშუშურ მავნებელთა ტერორისტული ცენტრი, რომელშიაც შედიოდენ ბ. მდივანი, მ. ოკუჯავა, მ. ტოროშელიძე, ს. ქავთარაძე და სხვები. ქართველი ტროცკისტები დაუკავშირდენ რა საქართველოში ანტისაბჭოთა განადგურებულ (რამდენჯერ? ს. მ.) პარტიების ნაშთებს და უცხოეთში ქართველი ხალხის მტერს ნ. ჟორდანიას—ცხოვრებაში ატარებდენ მავნებლურ და სადივერსიო მუშაობას და მიზნად ისახავდენ საბჭოთა კავშირიდან კავკასიის, და კერძოდ საქართველოს, გამოყოფას და ყველა ანტისაბჭოთა ძალების დახმარებით «დამოუკიდებელ» საქართველოს შექმნას ერთ-ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ» («პრავდა» 5 ივლისი 37 წ.).

როგორ, მდივანი, ტოროშელიძე და სხვები ეს საქართველოს გუშინდელნი ჯალათნი საკუთარ სამშობლოს გამცემნი—დღეს საქართველოს დამოუკიდებლობაზე, იმის რუსეთიდან გამოყოფაზე მუშაობდენ? ეს თუ ასეა, მაშინ განა საქართველოს უფლება არ აქვს იამაყოს აგვისტოს მე 13 წლის თავზე თავისი ბრძოლის შედეგებით? განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თავისუფლების და დამოუკიდებლობის იდეას მტრის მიუვალი ციხე შეუნგრევია, მისი გუშინდელი მეთაურები თავის ტყვედ გაუხდია? აქ ორჯონიკიძის სიტყვები წინასწარმეტყველური ხდება! მართლაც რუსეთს საქართველოში საიმედო მომხრე აღარ დარჩენია; მისთვის ყურმოჭრილ მონას—ქართულ კომპარტიასაც—ზურგი უქცევია და მარტო ბერიას ამარად დარჩენილა. მაგრამ ვეჭვობთ, იგიც ლომინაძის, მდივან-ტოროშელიძეების და სხვების ბედს აცდეს.

აღსრულდა; ნემეზიდა შურის საძიებლად განმზადებულა. აგვისტომ გაიმარჯვა თავის ჯალათზე. საქართველოს ფაქტიურ მეთაურად და მესაიდუმლედ კვლავ ძველი, ნაცადი პოლიტიკური პარტიები გამოდიან. ისინი წინ მიუძღვიან მებრძოლ ერს გაშლილი დროშით, უკვდავი იდეებით და უმწიკვლო მორალით. ეს დროშაა აგვისტოს მიერ ნაანდერძევი, თავისუფლების და დამოუკიდებლობის სიტყვებით ამოქარგული.

ხოლო გუშინ საქართველოში რუსის ჯარების შემომყვანნი, მოსკოვის გუშინდელი შინაყმები მოსკოვისავე ხმლით დაეცენ.

ჯერი მის დღევანდელ დამქაშებზეა.

სან. მანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბოლშევიზმის აგონია

სულთბრძოლა არ არის მუდამ ერთნაირის ხანგრძლივობის აქტი, მაგრამ მოკლეს თუ ხანგრძლივს მას მუდამ ერთი ბოლო აქვს,—სიკვდილი.

ბოლშევიკურ იდეასაც და მის გამომსახველ მოსკოვის ხელისუფლებასაც დაუდგა განკითხვის წამი.

ჩვენ არ ვიცით და ვერ ვიტყვით, რამდენ ხანს გასტანს ბოლშევიკურ ხელისუფლების აგონია. ამ მომაკვდინებელ სენით შეპყრობილი სხეული მეტად უზარმაზარია. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს მის გამძლეობას,—შეიძლება მისმა სამკვდრო კრუნჩხვამ კიდევ გასტანოს რამდენსამე ხანს, ხოლო ისიც მოსალოდნელია, რომ სულ მოკლე ხანში დალიოს სული.

ოღონდ, რომ მისი სულთბრძოლა დაიწყო. ეჭვს გარეშეა, იმდენად უტყუარია ამის ნიშნები.

აგერ ოცი წელიწადია თითქმის, რაც ქვეყნიერობის არაბოლშევიკურ უდიდესს ნახევარს ყურები აქვს გამოჭედილი მოსკოვისაგან მის მიღწევათა ტრაბახით. დღეს მოსკოვის ხელისუფლება აღარც კი ცდილობს თავის ტრაბახის სიცრუის დამალვას.

მისი დიდებულ აღმშენებლობის, წარმოების და ყოველგვარ მიღწევათა მყვირალა სტატისტიკა და ციფრები ცრუ და ყალბი გამოდგა. უდიდეს მიღწევათა ქვეყნის მოქალაქე მოკლებული აღმოჩნდა ყველაფერს,—საჭმელს, სამოსელს და ჭერსაც კი. უდიდეს ინდუსტრიის და ყოველნაირ სამრეწველო გიგანტების სამეუფოს მკვიდრი პირველყოფილ ადამიანის პირობებში ცხოვრობს, უარესშიაც. რადგან, რაგინდ ველური ტომი აიღოთ, მისი წევრნი მაძღარნი არიან და უფრო მოსვენებულნი ფიზიკურად და ზნეობრივად, ვიდრე ფედერაციულ რუსეთის თერთმეტის რომელ რესპუბლიკისაც გნებავდეთ «ბედნიერი» მოქალაქე.

აი, ბოლოს დასაწყისის ერთი დიდი ნიშანი.

ხოლო არის მეორეც უფრო დიდი და უტყუარი.

ჭკუათა მყოფელი, გონება დამჯდარი და პატიოსანი ადამიანი, როდესაც დაინახავს, რომ მისი აზრი და მეთოდი შემცდარია და არა თუ არ აღწევს დასახულს საგანს, არამედ წინაამდეგ შედეგს იძლევა,—ხელს აიღებს მათზე და ახალს ეძებს.

ოღონდ იმ ქვეყანაში, სადაც დიდი უმცირესობის, ან უფრო, მისი ხელმძღვანელის ნება და გაბოროტებული გუნება წარმოადგენს ცხოვრების კანონს, ეს გაბოროტებული ნება არასდროს არ აღიარებს თავის შეცდომას; პირიქით, რაც უფრო ნათელია მისი შეცდომა, მით უფრო კერპობს და ბოროტდება. უფრო და უფრო მეტის საკმევლის კმევას ითხოვს და თავზარდაცემულ ადამიანთაგან გალმერთებული (ოღონდ სული შეგვარჩინოსო) ღაღადის და დიდების ახალ და ახალ სიტყვებს მოითხოვს.

და თუ მისი მოქალაქე დაყვანილია პირუტყვის მდგომარეობამდე, ეს მისი შემცდარ აზრების ან მისი ბოროტი ნების ბრალი როდია. არა! ბრალი იმისია, ვინც მის ნებას ასრულებს: ყველა «საბოტაჟნიკია», ყველა გამცემი და მოღალატე და, მაშასადამე, ყველა გასაწყვეტია, მტერი თუ მეგობარი, თანამგრძნობი თუ მოწინააღმდეგე.

და კიდეც წყდება და მსხვერპლად ეწირვის თვითნებობის და მოსისხლე სიგიჟის მოლოხს ურიცხვი წმიდა და უწმიდური სული.

ტირანის გაბოროტებული სული და გონება ლამობენ, ადამიანი უსულო საგნად აქციონ. მექანიურ მანქანად, რობოტად, და თუ ვისმე შერჩა გონება, აზრი, უნდა ესწრაფოს მათ საერთო ყალიბზე ჩამოსხმას, გათქვეფას ისე, რომ მისი სახე არ სჩანდეს, თორემ «სიკეთე არ მოჰყვება მათ ნავარდს» (ბერიას ამა წლის 15 მაისის მოხსენებიდან); «ზედმეტი არ იქნება სერიოზულად ჩაუკვირდნენ თავიანთ საქციელს» (იქიდგანვე)...

და ჩვენ ვიცით, რასაც ნიშნავს სტალინის სამფლობელოში ასეთი გაფრთხილება.

აზრის დამონების, მისი დაჩაგვრის ასეთი ბოდვამორეული სურვილი, აი ეს გახლავთ ის მეორე და უფრო დიდი ნიშანი ბოლშევიზმის ბოლოს მოახლოვების.

ოღონდა არის კიდე ერთიც. სრულებით უტყუარი ნიშანი მისი აგონიის.

თავისის ცოდვის სხვაზე გადალოცვას, აზრის ჩაკვლას და სიტყვის და კალმის ჩაგვრას, რაც უნდა უგნური და უძლური საშუალება იყოს, ბოროტების თვალსაზრისით თითქო რაღაცა აზრი აქვს, ოღონდ როდესაც ტირანია აღარც ამას სჯერდება და სპობს და ჰკლავს მეცნიერების ისეთს წარმომადგენელს, რომელიც არავითარ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნის და მხოლოდ მეცნიერებას ემსახურება, ნუ თუ ეს იმის ნიშანი არ არის, რომ სიბოროტე სიგიჟედ იქცა და თავის ბოლოს მიაღწია.

ტფილისში დახვრიტეს ჯერ კიდე ახალგაზდა, მაგრამ უკვე დიდად განათლებული და დიდის ცოდნით აღჭურვილი ბაქტერიოლოგი ექიმი გ. ელიავა. განსვენებულმა რამდენიმე წელი დაჰყო პარიზში აქაურ პასტერის ინსტიტუტში. მისმა ნიჭმა და გულმოდგინებამ ისეთი სახელი მოუხვეჭეს. რომ ინსტიტუტში სტოვებდნენ სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად, მაგრამ განსვენებულმა სახელის მოხვეჭას და უზრუნველ ცხოვრებას თავის ქვეყნისა და ერის სამსახური ამჯობინა, მიუხედავად იმ აუტანელ, ჯოჯოხეთურ პირობებისა. რომელიც იქ ელოდა.

ყველა, ვინც კი იცნობდა ამ სიცოცხლით და ენერგიით სავსე ყმაწვილს. კეთილის მეტი არა ახსოვს რა მისი. მხნე და მხიარული, ის მუდამ იმაზე ზრუნავდა, რაც შეიძლება დიდად გამოეყენებინა თავისი ნიჭი და ცოდნა თავის ქვეყნის სასარგებლოდ. მისგან სიბოროტის რისამე ჩადენა ისევე

ძნელი წარმოსადგენი იყო, როგორც... სიკეთისა მის მკვლელებისაგან.

ასეთი ადამიანის და მის მსგავსთა ხოცვა განა უტყუარი ნიშანი არ არის იმისა, რომ ბოლშევიკურ ტირანიას გონების ნატამალიც აღარ შერჩენია და რომ ის სულთ ებრძვის?

ბერია თანაც გულს იკეთებს, საქართველოში ანტისაბჭოთა პარტიები გავანადგურეთო, და თანაც შიშობს, ამ პარტიების ნაშთები კიდევ არიანო (იმავ მოხსენებიდგან).

ეს ნაშთები მთელი საქართველოა, გაერთიანებული საბჭოთა და ყოველ სხვა ბატონობისაგან განთავისუფლებისა ნდომასა და იმედში.

ერთმანეთის მკვლელნო და მხოცველნო, თქვენ თქვენი ნაშთები იდარდეთ!

ქართველ ერის ცხოველ სულს კი ვერას დააკლებთ.

დარბაისელი.

## სისხლის ახალი ტალღები

ბოლშევიკების ბატონობა შეუწყვეტელ სისხლის წვიმების ხანად გადაიქცა. კომუნისტურმა ტერორმა მილიონები შეიწირა; მან არ დაინდო არა მარტო რევოლუციის აქტიური თუ პასიური მოწინაამდეგენი, არამედ ისინიც კი, ვინც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში უშიშრად და გმირულად ებრძოდენ მეფის თვითმპყრობელობას და მთელი თავისი ენერგიითა და ჭაბუკურის ალტყინებით ემსახურებოდენ ხალხის განთავისუფლების საქმეს. გულწრფელმა დემოკრატებმა, რევოლუციონერებმა, სოციალისტებმა ათასობით დალიეს სული კომუნისტურ ჩეკის სარდაფებში თუ შორეულ გადასახლებაში და იძულებითს სამუშაოებზე. მაგრამ ბოლშევიკური ტერორი არც ამაზე შეჩერდა. სისხლის ლოთები უსისხლოდ ვეღარ ისვენებენ და ერთმანეთსაც დაერიენ. ხალხის ჯალათები დღეს ერთმანეთსაც აღარ ინდობენ; ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გამარჯვებულნი ჯალათები დამარცხებულ ჯალათებს შეუბრალებლად ასალმებენ წუთისოფელს. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ დახოცილ ჯალათების ჭირისუფლები ჩვენ არა ვართ და არც ცრემლებს დავაფრქვევთ მათ საფლავებზე. აბა რომელი ქართველი პატრიოტი დაიტირებს იმ ქართველ კომუნისტებს, რომლებმაც თავის სამშობლო ქვეყნის ღალატი ჩაიდინეს და შიგ ბარბაროს მტერს შემოუძღვნენ, ქვეყანა გააძარცვიეს, საუკეთესო მამულიშვილები ვერაგულად დაახოციეს? მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ქართველ კომუნისტებს წააკლეს ქართველი პატრიოტებიც.

გასული თვის დასაწყისში კომუნისტებთან ერთად გაასამართლეს დახურულ კარებში და დახვრიტეს ნ. ქარცივაძე და გ. ელიავა. პირველი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე იყო, უყვარდა თავისი ქვეყანა და მისთვის გული შეტკიოდა. დაუჯერებელი ამბავია, რომ ამ უმწიკვლო პატრიოტს რაიმე საერთო ქონოდა ქართველ კომუნისტებთან, კიდევ უფრო დაუჯერებელი და სრულიად დაუშვებელია, რომ იგი რომელიმე უცხო ქვეყნის აგენტი ყოფილიყო და ჯაშუშის სამარცხვინო როლი აელო თავისთავზე. გ. ელიავა ჯერ კიდევ ახალგაზდა და ჯანღონით სავსე მეცნიერი ექიმი იყო; იგი ყოველთვის პოლიტიკის გარეშე იდგა, უყვარდა თავისი საქმე; ცნობილი იყო, როგორც სათნო და კაცთმოყვარე ადამიანი. აბა ვინ დაიჯერებს, რომ ასეთი პიროვნება თავისი ხალხის მოსაწამლავ ბაქტერიებს ამზადებდა? ასეთი უცნაური რამის გამოგონება შეუძლიათ მხოლოდ სისხლით დამთვრალ სტალინ-ბერიას უნამუსო მონებს, კომუნისტურ გაზეთების მოყიდულ კალმოსნებს და გეპეუს გამომძიებლებს.

ყველასათვის ცხადია, რომ სტალინ-ბერია ებრძვიენ ხელისუფლებისათვის ბრძოლის ნიადაგზე პირად მტრებად გადაქცეულ გუშინდელ მათ ამხანაგებს, შურს ძიობენ ამ უკანასკნელებზე და იოლად იმეტებენ სასიკვდილოდ. მაგრამ ამისი აშკარად თქმა და გამომჟღავნება მათ ხელს არ აძლევს და ცდილობენ გამოგონილ ბრალდებებით მიმალონ მკვლელობის ნამდვილი მიზეზები. ამ მიზნით ჭირდებათ მათ კომუნისტურ პროცესებს მიაკერონ უდანაშაულო ადამიანები, შეთხზან მათ წინაამდეგ დაუჯერებელი ბრალდებები და თავზე წააკლან სასიკვდილოთ გამზადებულ პირად მტრებს, რომელნიც გუშინამდე მათთან თანამშრომლობდენ და ახლო მონაწილეობას იღებდენ მათ მიერ ჩადენილ ყველა დანაშაულობებში სამშობლო ქვეყნისა და ქართველი ერის წინაამდეგ.

კომუნისტური პარტია და მისი წიაღიდან გამოსული ხელისუფლება შევიდენ ერთმანეთის დაჭამისა და დაკვლის ხანაში; ამის უტყუარი მაჩვენებელია კომუნისტურ პარტიისა და კომუნისტურ ხელისუფლების ორგანოების დაუსრულებელი წმენდა, დაუსრულებელი დაჭერები, პროცესები და დახვრეტები. ტერორი განახლდა უცნაურის სისასტიკით, აგორდენ სისხლის ახალი ტალღები. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ ეგ არის კომუნისტურ სისხლიანი ბატონობის დასასრულის დასაწყისი, მაგრამ დიდი უბედურება იქნება, თუ ეგ პროცესი გახანგრძლივდა. ამ შემთხვევაში იგი შეიწირავს ბევრს ქარცივაძეებს და ელიავეებს, ბევრს ქართველ პატრიოტს, ჩვენი პატარა ქვეყნისათვის საჭირო და სასარგებლო ადამიანს.

ბ. ა.

## მორტიუსიის კვანძი

(ეთიოპიის დაპყრობა—ხმელთაშუა ზღვა)

იტალია-ეთიოპიის ომი დამთავრდა. იტალიამ ეთიოპია დაიპყრო და მის სტრატეგიულ და სახელმწიფოებრივ—ადმინისტრაციულ ორგანიზაციას შეუდგა.

რას წარმოადგენს ეთიოპია და როგორია მისი დაპყრობის შედეგები?

— სიტყვა ეთიოპია წარმოსდგება ბერძნულ სიტყვიდან და ნიშნავს ქვეყანას, სადაც ცხოვრობს ხალხი სახე დამწვარი, დარუჯული. ეთიოპიას ეწოდება აგრეთვე აბაშეთი, რომელიც წარმოსდგება არაბულიდან Habesch. ეს სახელწოდება არ არის მიღებული მკვიდრთა მიერ და თვით გეოგრაფ-ეთიოპიოლოგთა აზრით, აღნიშნულ მხარეს სახელწოდება ეთიოპია უფრო შეეფერება, ვიდრე აბაშეთი.

დღეს თეორიულად ეთიოპია ეწოდება იმ სამკუთხედ ქვეყანას, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ აფრიკეთში მეწამურ ზღვასა და ნილოს შუა 1.000 მეტრის სიმაღლეზე, რეალურად კი ეთიოპია შეიცავს, გარდა მთიან მხარისა, მთელ ვაკეებიან მხარეს სამხრეთ აღმოსავლეთით, რომელსაც ჰარა ეწოდება; მთელ ზონას მეწამურ ზღვის გასწვრივ სახელწოდებით სამჰარა და სამხრეთით ჰენჰყოიან ადგილებს, რომელსაც რეგულიარულად ფარავს მდინარე ზობატა (Sobàt—ერთვის თეთრ ნილოს), როდესაც ის ადიდებულია.

ჯერ კიდევ 930 წ. ქრისტეს წინ ეთიოპია იყო სავსებით ჩამოყალიბებული და დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომლის სატახტო ქალაქი იყო ნაპატა. მერვე საუკუნის მეორე ნახევარს ეთიოპიის მეფეებმა გაამთლიანეს ხელისუფლება ნილოსის მიდამოებში. ერთმა მათგანმა პიონკი მიამუნმა დაიპყრო ეგვიპტე (740 და 730 წ.წ.). შემდეგ 714 წ. საბაკონმა გაავრცელა თვისი ხელისუფლება ხმელთაშუა ზღვამდე. ტანუატამანემ დაიპყრო უკანასკნელად ეგვიპტე, მაგრამ 663 წ. ის გამოძევებულ იქნა იქედან. ამის შემდეგ ეთიოპია ჩაიკეტა საშუალო ნილოსის მიდამოებში და მოწყდა განათლებულ ქვეყნის სახელმწიფოებს.

24—23 წ. ქრისტეს წინ ნაპატა დასწვეს რომაელებმა და ეთიოპიის სახელმწიფო გაქრა.

მეორე და მესამე საუკუნოებში ქრისტეს შემდეგ ეთიოპია ისევ ყალიბდება სახელმწიფოდ.

333 წელს ეთიოპიელები ღებულობენ ქრისტიანობას.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ეთიოპიელი იყო სინონიმი ნეგრის, მაგრამ დღეს ყველა ეთნოლოგი შეთანხმებულია, რომ ეთიოპიელები იქმნენ გამოყოფილი ნეგრიტულ რასიდან. ეთიოპიის დღევანდელი მცხოვრებნი არიან ნარევი რამდენიმე ეთნიური ტიპისა. აქ არის აგრეთვე სისხლი სემიტებისა, რომელნიც მოვიდენ სამხრეთ არაბეთიდან, და ნეგრების. ამ შერეულ სისხლიდან შეიქნა ახალი რასა, შედარებით ჰომოგენური, რომლის დამახასიათებელია: საშუალო (1,65 მ. კაცი და 1,56 მ. ქალი) და ლამაზი ტანი, მოგრძო თავი, სუფთა სახე რეგულიარული მოხაზულობით, ცხვირი წინ წამოწეული და ხშირად ვიწრო, სქელი ტუჩები და ნიკაპი ძლიერ გამოკვეთილი. ტანის კანი ბრინჯაოს ფერის, ზოგ შემთხვევაში ღია, ზოგში მუქი; თმა მუდამ შავი და ხუჭუჭი.

ეთიოპია ჩამორჩენილი ქვეყანაა. მაგრამ მას აქვს თავისებური ლიტერატურა. ეთიოპიური ლიტერატურა ხმარობდა ორ ერთიმეორესგან განსხვავებულ იდიომს: გეეზ და ამჰარიკ. გეეზ ეკუთვნის სემიტიურ ჯგუფს. ის იყო წინად სახალხო ენა, მაგრამ დღეს არის მხოლოდ ლიტერატურული და სამღრთო ენა. ამჰარიკ კი, თავისი დიალექტებით არის სახალხო ენა. როგორც ერთი, ისე მეორე იდიომი იწერება მარცხნიდან მარჯვნით თავისებური ალფაბეტით.

ლიტერატურა ღარიბია, მაგრამ არის თავისებური, აღმოცენებული თვით ეთიოპიის ყოფა-ცხოვრებიდან.

ხელოვნება ღარიბია, განსაკუთრებით მხატვრობა და ქანდაკება. ხუროთმოძღვრება უფრო წინწაწეულია. მან წარმოშვა რამდენიმე ღირსშესანიშნავი მონუმენტი—მონოლიტური ეკლესიები.

ინდუსტრია სულ არ არის განვითარებული. ეთიოპელებს ძლიერ უყვართ მესაქონლეობა, მაგრა მიწის დამუშავებასაც მისდევენ.

ვაჭრობა სწარმოებს ქარავანებით როგორც შიგნით მხარეში, ისე შიგნიდან საზღვრამდე გარეშეებთან. ეთიოპიას გააქვს საზღვარ გარედ: ძვირფასი ხე, სპილოს ძვალი, ოქრო, ცხოველების ტყავი, მარილი.

კლიმატურად ეთიოპია განიყოფება სამ ზონად ძლიერ განსხვავებულად ერთი მეორესაგან: კოლა, ვოინა—დეგა და დეგა 1) კოლა—სიცხე და სინესტე. მდიდარი მცენარეულობა (ტყე),—1,800 მეტრის სიმაღლე; 2) ვოინა—დეგა—მერიდიონალური ევროპის მცენარეულობა (ზეთის ხილი, ვენახი, სიმინდი, ყავა, თამბაქო),—1,800—2,400 მეტრის სიმაღლიდან; 3) დეგა—2,400 მეტ. ზევით—თვალუწვდენელი საძოვარი ადგილები დიდძალი ჯოგით. ეს ზონა უფრო საღია, მაგრამ მეტად ცივი. საშიშია განსაკუთრებით ღამის ყინვები. პეიზაჟი მოგაგონებს ალპიურს.

პოლიტიკურად ეთიოპია საშუალო საუკუნოებს არ გასცილებია. რეჟიმი ფეოდალური იყო. ქვეყანა დაყოფილი იყო პროვინციებად და თვითეულ პროვინციას ყავდა თავისი მეთაური (ras), რომელიც თითქმის სრული ხელისუფლების მატარებელი იყო თავის პროვინციაში. სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე ნეგუსი (Négus), რომლის ხელქვეითი იყვენ ადგილობრივი მეთაურები (ერისთავები).

ეთიოპიელები არიან 10 მილიონი. სატახტო ქალაქი ადის აბება.

ეთიოპია სივრცით 800,000 კვ. კილომეტრია.

ერთ კვ. კილ. მოდის 12,5 მცხოვრები.

იტალია სივრცით 310,1 ათასი კილ., ასე რომ

ეთიოპია თითქმის სამჯერ უფრო დიდია იტალიაზე.

შედარებისთვის მოვიგონოთ, რომ გერმანია სივრცით 468,7 ათასი კვ. კილომეტრია და საფრანგეთი 551 კვ. კილომეტრი.

ეთიოპია მუდამ დამოუკიდებელი ქვეყანა იყო. მის დამოუკიდებლობას ხელს უწყობდა ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა და მისი ტოპოგრაფია (ეთიოპია ბუნებრივ ციხეს წარმოადგენს,—ირგვლივ თითქმის მიუვალი მთები და ქვეყნის შუაგულისაკენ მხოლოდ მიმავალი ბილიკები) და მეორეს მხრივ თვით ეთიოპელ ერის ვაჟკაცობა. ეთიოპელი თავმომწონეა, მარდი, ამტანი და მასთან მეომარი, თოფის დიდი მოყვარული.

ეთიოპიელებს ჰქონდათ ომები ასურელებთან, ეგვიპტელებთან, არაბებთან, ბერძნებთან, რომაელებთან და ყოველთვის ვაჟკაცურად იცავდენ თავის მიწა-წყალს. აღსანიშნავია ის ფანატიზმი, რომლითაც ეთიოპიელები იცავდენ მე 17 საუკუნეში მართლმადიდებლობას კათოლიკე მისიონერებისაგან. ეთიოპიელებმა გამოაძევეს მისიონერები თავის ქვეყნიდან და ერთ ნახევარი საუკუნე ჩაიკეტა ეთიოპია ევროპისაგან. 1750 წელს კიდევ სცადეს უკანასკნელად ეთიოპიელების გაკათოლიკება. ამ ცდამაც უნაყოფოდ ჩაიარა.

ეთიოპიის ეს მოკლე მიმოხილვა გვიჩვენებს, თუ რა დიდი შედეგებით აღსავსე უნდა იყოს მისი იტალიის მიერ დაპყრობა. ეთიოპია აფრიკეთის გულია, ვინც იქ ბატონობს, ის მთელი აფრიკეთის ბატონია. იგი, უხვად დაჯილდოებული ბუნებრივი სიმდიდრით, იქნება იტალიისთვის უშრეტი წყარო მატერიალური აღორძინების და სამხედრო ძლიერების.

აფრიკეთის ბატონი ხმელთაშუა ზღვის ბატონიცაა და აქ ინასკვება ისეთი კვანძი, რომლის მშვიდობიანი გახსნა დღევანდელ საერთაშორისო ძალთა ურთიერთობაში შეუძლებელია.

ხმელთაშუა ზღვის საკითხი ძველთა ძველია. ოცდაათი საუკუნეა, რაც ხმელთაშუა ზღვა არის ცენტრი საერთაშორისო ძალების შეხლა-შემოხლის. მდგომარეობა იცვლება, იცვლება ტექნიკა, იცვლება სტრატეგია. მაგრამ გეოგრაფია უცვლელი რჩება და მისი მნიშვნელობა არსებითად იგივეა დღეს, რაც ძველად იყო.

სამ დიდ საზღვაო სახელმწიფოს აქვს სასიცოცხლო ინტერესები ხმელთაშუა ზღვაზე: საფრანგეთს, ინგლისს და იტალიას. საფრანგეთის კომუნიკაცია ჩრდილო აფრიკეთთან და ინდო-ჩინეთის კოლონიებთან ხმელთაშუა ზღვითაა. ინგლისისათვის ხმელთაშუა ზღვა არის გზა ინდოეთისაკენ, ეგვიპტისაკენ, მეწამურ ზღვისაკენ და აგრეთვე დიდი სანავთო გზა ერაყის და სპარსეთისაკენ. ინგლისს არ შეუძლია ხელი აიღოს ხმელთაშუა ზღვაზე, რადგან ეს იქნებოდა ეგვიპტის, სუდანის, პალესტინის მიტოვება, სუეცის არხზე დარაჯის მოხსნა და სხვა.

ხმელთაშუა ზღვას იტალიისათვისაც სასიცოცხლო ინტერესი აქვს. ნედლი მასალის საკვები, სტრატეგიული საგნების შემოზიდვა, კომუნიკაცია ლიბიასთან და თვით ეთიოპიასთან.

დღეს ადგილობრივი პატარა კონფლიქტი დიდ საერთაშორისო ხასიათს იღებს, ისე მჭიდროდაა გადახლართული ერთა ინტერესები ერთიმეორეზე. მით უმეტეს ხმელთაშუა ზღვის საკითხი ვერ ჩაითვლება ლოკალურ საკითხად, ხმელთაშუა ზღვა მხოლოდ ინგლის საფრანგეთ-იტალიის საქიშპო სარბიელად. თუ ამ ქიშპობამ ომის სახე მიიღო, იგი, უეჭველია, მსოფლიო ომად იქცევა. ამ ომის შედეგების გათვალისწინება კი ძნელი წარმოსადგენია. ერთი ცხადია: კაცობრიობა მატერიალურ და მორალურ ქაოსში ჩაეფლება და ნათლად იხილავს ჯოჯოხეთის ჭეშმარიტ სახეს. ისპანიის სამოქალაქო ომის გართულება ხმელთაშუა ზღვის საკითხითაა გამოწვეული.

დღეს ორ მილიარდამდე ხალხი ცხოვრობს დედამიწაზე. იგი სასწრაფოდ მრავლდება, მაგრამ ამავე დროს მეცნიერებაც ზრდის მიწის ნაყოფიერებას. საარსებო საშვალებების კრიზისი არ არის და იგი ძლიერ დიდი ხნით გადაიდება, შეიძლება საბოლოოთაც, რადგან მეცნიერებას ამ შემთხვევაში უკანასკნელი სიტყვა არ უთქვამს. დღეს სიმდიდრის სიუხვეა. იგი დიდად სჭარბობს მოთხოვნილებას. დღევანდელი უბედურებანი ამ სიმდიდრის ანორმალურ განაწილებაშია, რომ უბედურება მოისპოს, საჭიროა განაწილდეს არსებული რესურსები მოთხოვნილების მიხედვით. მაგრამ ეს არის ის გორდიუსის კვანძი, რომლის გახსნა დღევანდელ ძალთა ურთიერთობაში შეუძლებელია. იგი უნდა გაჩეხოს ახალმა განახლებულმა კაცობრიობამ, აღმოცენებულმა ახალ მორალზე და უფლებაზე. იმ კაცობრიობამ, რომელიც იქნება არა ფიქციათა კრებული, არამედ სუვერენულ ერთა სუვერენული სახეობა.

ილია ნუცუბიძე.

## რას სწერენ სომხური გაზეთები

ამ.-კავკასიის ფედერაციის დაშლის შემდეგ.

გაზ. «აირენიკ» 23 აპრილი: გაზეთს მოჰყავს საქართველოს საბჭოთა 10-14 თებერ. ყრილობის დადგენილება ამიერ-კავკასიის ფედერაციის გაუქმების და ახალი კონსტიტუციის მიღების შესახებ და სწერს: «ამიერ-კავკასიის ფედერაცია შექმნა სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის ც. კომიტეტის უფლებამოსილმა კონფერენციამ და ახლა კი იგი უქმდება მარტო ერთი საქართველოს ინიციატივით... სომხეთს და აზერბაიჯანს ჯერჯერობით მონაწილეობა არ მიუღიათ ამ მათთვის სასიცოცხლო საკითხის გადაჭრაში და ალბად შემდეგ «გამოსთქვამენ თავის აზრს»...

ცხადია, რომ მოსკოვის მიერ განზრახაა მოწყობილი ეს უკანასკნელი თავხედობა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ.-კავკასიაში. მოსკოვმა დაარღვია საბჭოთა კანონებით გათვალისწინებული წესი, რომლის თანახმად ამ.-კავკასიის ფედერაციის დაშლა უნდა მომხდარიყო სამივე რესპუბლიკის საბჭოების შეერთებული ყრილობის დადგენილებით, და

ამ საშუალებით მოსკოვს უნდოდა, ერთხელ კიდევ ესიამოვნებია საქართველოსთვის და უზრუნველეყო მისთვის ზნეობრივი და ქონებრივი უპირატესობანი, რომლებიც ასეთ შემთხვევაში წილად ხვდება იმას, ვინც პირველ ნაჭერს წაავლებს ხელს.

აქ არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ, რომ ქართველმა «მენშევიკებმა» საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება გადაწყვიტეს მხოლოდ იმის შემდეგ, როცა სეიმმა დაადგენილება მიიღო ამიერ-კავკასიის შეერთებული მართველობის გაუქმების. ამრიგად სტალინი-ბერია თავის ქართული იმპერიალიზმით უფრო შორს მიდიან, ვიდრე ჟორდანია-ჩხეიძე.

ზემოდასახელებული ორივე დადგენილება (ამ.-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაციის და საქართველოს ახალი კონსტიტუციის შესახებ) ეხება სომხეთის და სომხის ერის სასიცოცხლო ინტერესებს.

ამ.-კავკასიის ფედერაციის ლიკვიდაცია ისეთ მძიმე პირობებს ჰქმნის სომხეთის როგორც საშინაო ისე საგარეო ცხოვრებისთვის, რომ ძალიან სა ეჭვოა მისი დაწინაურება როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეულისა. სომხის ერი რომელიც თავის ზნეობრივი და მატერიალური ძალებით სრულიად მომზადებული იყო ფართო ავტონომიური ცხოვრებისთვის, დღეს ა.-კავკასიაში ჩაყენებულია ისეთ პირობებში, რომ თუ მის მეზობლებისთვის ავტონომია სასურველი ბედნიერებაა, მისთვის—უბედურებაა. და ეს იმიტომ უპირველესად, რომ სომხის ერს წაართვეს, რაც მას უდავოდ ეკუთვნის. ამ.-კავკასიის ლიკვიდაციის აქტი ადასტურებს და ამტკიცებს მომავლისათვის ჩვენი მიწების წართმევას საქართველოს, აზერბაიჯანის და თურქეთის მიერ. იგი აძლევს საქართველოს ჩვენს წილს იმ კულტურულ და მატერიალურ კულტურისას, რომლიც როგორც მთელი ამიერ-კავკასიის საერთო კუთვნილება შექმნილი იყო სამივე ერის ძალებით და დღეს სრულებით უკომპენსაციოდ ეთმობა საქართველოს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ყველაფერი მის ტერიტორიაზე იყო (განსაკუთრებით ტფილისში).

რაც შეეხება საქართველოს ახალ კონსტიტუციას, ჩვენ შევჩერდებით მარტო იმ მუხლებზე, რომლებიც შეეხება სომხებს. მე 16 მუხლი ამბობს: «ს. ს. საქ. რესპუბლიკის ტერიტორია (საზღვრები) არ შეიძლება შეიცვალოს მის ნების დაურთველად». ამით დადასტურებულია სომხის მიწების წართმევა და სამუდამოდ დამარხულია საზღვრების საკითხის გადასინჯვის შესაძლებლობა.

ახალი კონსტიტუცია თავის სიტყვას ამბობს საქართველოში მცხოვრებ სომხებზედაც. აფხაზეთმა, აჭარისტანმა და სამხრეთ ოსეთმაც კი ავტონომია მიიღეს, ხოლო ლ. ბერიამ, «სომხის ერის ამ საუკეთესო მეგობარმა, ეს წყალობა არ გაიმეტა საქართველოს მკვიდრ სომხებისთვის და ჩვენგან წართმეული ახალქალაქი ისევე უბრალოდ შეუერთა საქართველოს როგორც სხვა ქართული რაიონები. ავტონომიის უფლება არ მიანიჭეს ახალქაქის მაზრას, სადაც მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა სომხობაა და რომელიც საქართველოს განაპირას მდებარეობს. მაგრამ სტალინ-ბერიას კონსტიტუციამ მოაკლო საქართველოში მცხოვრებ სომხებს არა თუ ტერიტორიალური, არამედ საკურორტო და სასკოლო ავტონომიაც.

ესეთი მდგომარეობა მიტომ იყო შექმნილი სომხებისთვის, რომ ეს ხელს უწყობს მათ გადაგვარებას. როგორც ყველამ უწყის, საქართველოს სომხების ნაწილმა დაჰკარგა თავისი დედა-ენა და ეროვნული სახე შეინარჩუნა მხოლოდ ეკლესიისა და სარწმუნოების შემწეობით. მაგრამ რევოლუციის წინა წლებში ახალი თაობა სომხურ სკოლებში სწავლობდა მშობლიურ ენას და ამის მეოხებით დაიბრუნა თავისი ეროვნება. საბჭოთა საქართველოში სომხური ეკლესიები დაკეტილია, ხოლო სკოლებში სწავლება სწარმოებს «ახალი» პრინციპის მიხედვით, ე. ი. იმ ენაზე, რომელსაც ლაპარაკობენ მოწაფეთა ოჯახში. ასეთი ხრიკებისა გამო ყველა სომეხი საქართველოში, რომელსაც დავიწყებია თავისი ენა და ქართულად ლაპარაკობს, ხდება ქართველი და კომუნისტი—ამწერლები ხალხის აღწერის დროს მათ სწერენ ქართველებად.

ქართველ კომუნისტების მიერ შეთვისებულ ასეთს «ინტერნაციონალურ» პოლიტიკას ვერ შეეგუებოდა საქართველოს სომხებისთვის უმცირესობათა უფლების მინიჭება და მიცემა რაიმე ავტონომიისა. და ახალი კონსტიტუცია, რომლის მიზანია ქართული ელემენტის გაძლიერება სომხურის ხარჯზე, ერთგული რჩება ქართული ნაციონალიზმის ტრადიციების და კულტურული ავტონომიაც არ გაიმეტა სომხებისთვის.»

გაზ. «აირენიკ» 20 მაისი: «საბჭოთა გაზეთები იუწყებიან, რომ კოსუნისტების საკავშირო ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა, გააუქმოს ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი და სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის ცენტრალური კომიტეტები პირდაპირ დაუმორჩილოს საკავშირო ცენტრალურ კომიტეტს.

ეს დადგენილება, რასაკვირველია, ბუნებრივი და ლოლიკური შედეგია ამიერ-კავკასიის ფედერაციის დაშლისა და ერთის ნაცვლად სამი «დამოუკიდებელი» რესპუბლიკის შექმნისა ამიერ კავკასიაში. ამ.-კავკასიის ერთი მთლიანი კომუნისტური ორგანიზაციის არსებობის დროს ამ.-კავკასიის მართველობის დანაწილებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან, როგორც ყველამ იცის, ამ.-კავკასიას განაგებდა ფაქტიურად სამხარეო კომუნისტური კომიტეტი ტფილისში თავის პირველი მდივნით ბერიათი და არა ამ.-კავკასიის საბჭოთა მთავრობა. ხოლო ეხლა, რაკი ისპობა სამხარეო კომიტეტი და სომხეთის, საქართველოს და აზერბაიჯანის ცენტრალური კომიტეტები უშუალოდ დაემორჩილებიან კომუნისტური პარტიის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტს, მდგომარეობა იცვლება, ფორმალური მხრით მაინც. ახლა უკვე ტფილისს თავის ბერიათი აღარ შეუძლია პირდაპირ ჩაერიოს სომხეთის შინაურ საქმეებში და თავის ჰეგომონიას დაუქვემდებაროს ერევანი არა თუ პოლიტიკურად, არამედ კულტურულადაც.

ზედმეტია დავსძინოთ, რომ სომხეთის კომუნისტებს აღარ დასჭირდებათ ამიერიდან, გუნდრუკი უკმიონ საჭირო თუ არასაჭირო შემთხვევაში ტფილისში მსხდომ ბერიას, რომელმაც ისე სატანურად დალუპა ა. ხანჯიანი შარშან და რომელიც იყო მიზეზი საბჭოთა სომხეთის ცნობილ მოღვაწეების და მწერლების დატუსაღებისა. ახლა სომხეთი უშუალოდ მოსკოვიდან მიიღებს დირექტივებს.

ამ.-კავკასიის სამხარეო კომიტეტის ლიკვიდაციის შემდეგ სომხეთი ტფილისზე აღარ იქნება დამოკიდებული. ამიერიდან სომხეთი იქნება შორეული მოსკოვის თვალყურის დევნების ქვეშ და ტფილისის კლანჭებისაგან განთავისუფლებული თავს იგრძნობს ცოტად უფრო «დამოუკიდებლად». უეჭველია, ეს უპირატესობაა.

ხოლო ამ ახალს ვითარებას სომხების ეროვნულ ინტერესების თვალსაზრისით თავისი ცუდი მხარეც აქვს. საქმე ისაა, რომ მარტოდ დარჩენილი საქართველო და აზერბაიჯანი შესძლებენ უფრო ძლიერი ნაციონალისტური პოლიტიკა აწარმოვონ და უფრო შეავიწროვებენ მათ ტერიტორიაზე მცხოვრებ ნახევარ მილიონ სომხის მოსახლეობას.

საშიში მდგომარეობაა შექმნილი ამ მხრივ განსაკუთრებით საქართველოს სომხებისთვის, რადგან უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველი ნაციონალისტ-კომუნისტები შეეცდებიან ხელსაყრელ შემთხვევის გამოყენებას, რათა უფრო მეტი მოურიდებლობით განახორციელონ სომხების ასიმილაციის ცნობილი გეგმა.»

## საქართველოში

(უცხოელის შთაბეჭდილებები)

ჩვენ შემთხვევა გვქონდა შევხვედროდით და გვესაუბრა ერთ ინგლისურ გაზეთის კორესპონდენტთან, რომელსაც გზად გამოუვლია საქართველოში და ერთი კვირით შეჩერებულა ტფილისში. ცხადია, რომ ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის ყოველივე ამბავი ჩვენი ქვეყნიდან მოსული დიდად საინტერესო და საყურადღებოა, ამიტომ მასაც გაუზიარებთ ამ უცხოელის ნაამბობს.

— ბევრს ვერაფერს გეტყვით,—დაიწყო მან,— საბჭოთა კავშირის მცხოვრებს უცხოელთან გამოლაპარაკების სიკვდილზე უფრო ეშინია. აი, ერთი პატარა მაგალითი: ქუჩაში მივმართე ერთ გამვლელს და საათი ვკითხე,—ჩემი საათი გაჩერებულიყო: ის ჩემ დამტვრეულ რუსულზე ადვილად მიხვდა, რომ უცხოელი ვიყავი და შეშინებული შეტრიალდა, ზურგი მაქცია და აჩქარებული ნაბიჯით გამცილდა, თან იქეთ-აქეთ იცქირებოდა,—ხომ ვინმემ არ დამინახა, რომ უცხოელი გამომელაპარაკაო. ცხადია ასეთ პირობებში ბევრს ვერაფერს გავიგებდი. ერთი კვირის განმავლობაში სულ სამ-ოთხჯერ შევხვდი ერთ უცხოელს, რომელიც ტფილისში ცხოვრობს მუდმივად და მან გამიზიარა ზოგიერთი გაგონილი ხმები. წინედაც ვყოფილვარ იქ და უნდა ალვნიშნო, რომ ახლანდელი შთაბეჭდილება დიდად განსხვავდება წინანდელისაგან. ცხადია, თავისუფლების მოყვარულ ქართველს ყოველთვის ემძიმებოდა ველური ბოლშევიზმის ბატონობა, მაგრამ იგი ძველებურად ამაყი იყო და ცდილობდა მტრისთვის არ ეჩვენებია თავისი გაჭირება. ხშირად, შეიძლება, საჭმელი აკლდა და კუჭ-ცარიელი იყო, მაგრამ ქუჩაში მაინც სუფთად ჩაცმული გამოდიოდა; არ ეცინებოდა, მაგრამ მაინც იღიმებოდა, რომ მტრისთვის გული მოეკლა —გინდა წავხდე, დავგლახდე, სულით დავეცე, მაგრამ ამაოა შენი ცდაო, ეუბნებოდა მას სიტყვით თუ არა, თავისი მოქცევით მაინც. მაშინ ქუჩაში სიცოცხლე იყო, სიცილ-კისკისს და ხმამაღლა ლაპარაკს გაიგონებდი. ასე იყო ამ ცხა-ათი წლის წინედ; მაშინ მე საქართველოს დედა ქალაქში ორი კვირა ნახევარი გავატარე და შემთხვევაც მქონდა ბევრ წარჩინებულ ქართველთან მელაპარაკა.

სულ სხვანაირია ახლანდელი სურათი და მდგომარეობა: ქუჩაში სამარისებული სიჩუმეა; ვერ გაიგონებ ხმამაღლა ლაპარაკს, ვერ დაინახავ გაცინებულ სახეს. ნაცნობები ერთმანეთს ქუჩაში სალამს არ აძლევენ, ერთმანეთს თვალს არიდებენ, ეშინიათ,—ვაი თუ ჩემი ნაცნობი იჭვის ქვეშ არის დაყენებული და მისთვის სალამის მიცემამ და მასთან გამოლაპარაკებამ რაიმე ხიფათი გადამკიდოსო.

ხალხი მეტად ღარიბად არის ჩაცმული, დაყვითლებული სახეები მოწმობენ, რომ არც სასმელ-საჭმელით არიან განებივრებულნი. არ ვიტყვით, რომ აქა-იქ კარგად გამოვსებული მაღაზიები არ იყოს, მაგრამ იშვიათად ნახავ, რომ შიგ ვინმე შედიოდეს; ყოველ საქონელს საზღაპრო ძვირი ფასი ადევს. ერთ მაღაზიაში შევიარე ცნობისმოყარეობისათვის; რომელ საგანსაც არ მოვკიდე ხელი, მეტად მდარე ღირსების იყო. ფეხსაცმელის ფასი ვიკითხე, სამაც ოცი მანეთი დამიფასეს.

ჩემმა ნაცნობმა უცხოელმა გადმომცა, რომ გავრცელებული ხმების თანახმად იმ ღამეს დიდ დაჭერებს მოელოდენ, თან დაუმატა, რომ მრავალ დახვრეტებს ექნება ადგილიო. მე ვფიქრობ, რომ ხმები დაჭერების შესახებ არ გამართლდა, რადგან მეორე დღეს ვერსად მოვკარი ყური დამადასტურებელ ხმებს. რამდენადაც მე გავიგე, დაჭერები და დახვრეტები საკმაოდ ჩვეულებრივ მოვლენად ყოფილა გადაქცეული; ჩუმად დაატუსაღებენ და ჩუმადვე დახვრეტენ, განსაკუთრებით ოპოზიციონურად განწყობილ კომუნისტებს და მათ ახლო მეგობრებს თუ თანამშრომლებს. ასეთ რამეებზე გაზეთებში ვერავითარ ცნობებს ვერ შეხვდებით და დახვრეტილთა ჭირისუფლებმა მთელი თვეების განმავლობაში არაფერი იციან იმის შესახებ, თუ რომელ დატუსაღებულს რა ბედი ეწვია. გაზეთები ქრონიკაში აღნიშნავენ მხოლოდ რომელიმე დიდი, ცნობილი კომუნისტის დატუსაღებას თუ მის დახვრეტას, რადგან ამის დამალვა შეუძლებელია.

საბჭოთა საზღვარზე სასტიკად გამჩხრიკეს. საცვლები და ცხვირსახოცები დაათვალიერეს,—ზედ ხომ არაფერი წერიაო; ასე გასინჯეთ, პერანგის ამ-

ხანაგის სათაურებიც კი გაარღვიეს და გადაათვალიერეს. ჩამომართვეს უბის წიგნი და ქაღალდის ყოველივე ნაკუწი—დაწერილი და დაუწერელი; ჩამომართვეს უცხო ვალიუტა და მომცეს მანეთები—ყოველ ოთხ ფრანკში ერთი მანეთი. საზღვარს გადმოღმა ეგ მანეთები ძლივს გავყიდე თითო 50 სანტიმად...

უცხოელმა კორესპონდენტმა მთხოვა დაბოლოს, ურჩიეთ ნაცნობებს, რომ დროებით მაინც წერილებს ნუ მისწერენ თავისიანებს საქართველოში, თუ არ უნდათ, რომ საფრთხეში ჩააგდონ ისინიო.

W.

## უცხოეთის მიმოხილვა

### სისხლიანი წლისთავი.

ერთი წელი შესრულდა მას აქეთ, რაც ისპანიაში სამოქალაქო ომი მძვინვარებს და მთელი ერი, მისი დიდი და პატარა, სისხლის ზღვაში სცურავს. ვინ მოსთვლის, რამდენი სიცოცხლე, რამდენი სიმდიდრე იმსხვერპლა ცეცხლმა და მახვილმა! განწარება და დაუზოგველობა ძმათა შორის აღწევს გაუგონარ ხარისხს, არ ინდობენ უსუსურ ბავშვებსაც, ფეხმძიმე ქალებს, მოხუც-დავრდომილთ, ოღონდ მოპირდაპირეს არ მისცენ საშუალება უკეთ აწარმოოს ბრძოლა. აუარებელი ნაშთები ძველი დიდებისა: ტაძრები, სასახლენი და შიგ დაგროვილი ხელოვნების შედევრები, აგრეთვე მეცნიერების შენობები და ლაბორატორიები ნაცარტუტად არის ქცეული. ვინ მოსთვლის სოფლებსა და ქალაქებს ძირიან-ბუდიანად დაქცეულთ! ოდესმე პირველხარისხოვანი დიდი სახელმწიფო თავისი განთქმული ცივილიზაციით, და კიდევ გუშინ ერთ-ერთი ფრიად მნიშვნელოვანი წევრი საერთაშორისო ოჯახისა, დღეს ისე უმწეოდ გამოიყურება, ისეა დაუძლურებული, რომ თვით მისი დამოუკიდებელი არსებობა, მისი აურაცხელი ავლა-დიდება დიდ ხიფათშია ჩავარდნილი.

ჩვენა ვსთქვით «სამოქალაქო ომიო», მაგრამ ის დასაწყისშივე იქცა საგარეო ომად! მართლაც, განა არ გვახსოვს, რამ და ვინ გამოიწვია ის შარშან ივლისს? კომინტერნის ბნელმა მუშაობამ, მის მიერ ადგილობრივი სოციალისტების, ანარქისტების, კომუნისტების და სხვა მემარცხენეთა ერთ ფრონტში ჩათრევამ და, კრემლის კარნახით, ყველა მათი მემარჯვენეთა პარტიებთან დატაკებამ. მართალია, თავდაპირველად, ამას ლეგალური საარჩევნო სახე მიეცა, მემარცხენეთა ფრონტმა გაიმარჯვა მემარჯვენეებზე, მაგრამ იმის მაგიერ, რომ გამარჯვებულთ რესპუბლიკის განმტკიცებისთვის ეზრუნათ, კანონმდებლობა და მართველობა მყარე საფუძველზედ აეგოთ, მათ ხელი მიყვეს შურისძიებას პოლიტიკურ მოწინაამდეგეთა მიმართ, დააპირეს სოციალისტურ რეფორმების რევოლუციურად გატარება და თვით საბჭოთა რეჟიმის შემოღება. მაგრამ რაც უფრო საყურადღებოა, გამარჯვებულთა შორის არ იყო ერთსულოვნება, ლეგალურ და არალეგალურ ზომების მომხრენი ერთმანეთს დაეტაკენ, რაიცა ყველა მათ ასუსტებდა, ხოლო დამარცხებულთ აგულიანებდა შეტევისთვის მათ წინაამდეგ.

თუ ისპანიის ხალხოსნურ ფრონტს ჰყავდა თავისი მოკავშირე მოსკოვის სახით, აჯანყებულ გენერლებსაც გაუჩნდათ თავისი მოკავშირენი: ფაშისტური იტალია და ნაზისტური გერმანია. ამათ არ ულიმოდა უთუოდ ბოლშევიზმის გამარჯვება ისპანიაში და თავის დროზედ ანტიკომინტერნი დააწერეს. დაიწყო იარაღის და «მოხალისეთა» დენა ისპანიის ორთავე ბანაკში და დღეს, შეიძლება ითქვას, რომ გარედან შემოსული მეომარნი და იარაღნი სჭარბობენ ადგილობრივ ძალებს! ეს გარემოებაა მთავარი მიზეზი ომის გაგრძელებისა, თორემ გარედან ჩაურევლად მას ადრევე მოეღებოდა ბოლო: მოიგებდა ერთი რომელიმე მხარე და ქვეყანაც ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდა.

ეხლა კი არავინ იცის, კიდევ რამდენ ხანს გასტანს ის! უარესი: შიში და დრტვინვა, რომ ისპანიის ომი საყოველთაო ომად არ იქცეს, დღესაც ისევე დიდია, როგორიც შარშან. თქვენ ხედავთ, როგორ გაკოტრდა ეგრ. წოდ. ჩაურევლობის პოლიტიკა, რომელსაც თითქო ყველანი აღიარებდენ თავიდანვე, ხოლო საქმით ჩარევას აწარმოებდენ დაინტერესებულნი, და ლონდონის კომიტეტი მარტო სალაყბოდ იქცა. ხმელთა და ზღვის კონტროლი უკვე მოხსნილია და ყოველი ცდა მის აღსადგენად ამაო ხდება. რაც შეეხება უცხოელ მეომართა გამოყვანას, ეს დაუკავშირეს ორივე მხარისთვის მეომრის უფლების მინიჭების კითხვას, და ვინ იცის, რამდენ ხანს გასტანს დავა იმაზე, რომელი ერთი ამ ზომიდან უნდა უსწრებდეს მეორეს.

არ უნდა დავივიწყოთ, ისპანიის ამა თუ იმ ბანაკის გამარჯვებას თავისი საგულისხმიერო შედეგები ექნება, თუ მანამდე ძირშივე მოსპობილ არ იქნა გარედან ჩარევა. ეს თითქო არ ხერხდება—აი რა ბადებს საყოველთაო ომის შიშს. ისპანიის დაქვემდებარება ამა თუ დიდ სახელმწიფოს გავლენისათვის მაშინვე არღვევს არსებულ ძალთა წონასწორობას, როგორც მაგალითად, აქედან შესაძლოა დიდი ბრიტანეთის მიმოსვლა გიბრალტარ-სუეცის გზით, ისე როგორც საფრანგეთის კავშირი ჩრდილო აფრიკეთთან, შეფერხებულ ან მთლად გაწყვეტილ იქნას. არის, მეორეს მხრით, ისპანიის მდიდარი მადნების კითხვა, რომელიც აინტერესებს ინგლისს, მაგრამ მასზე უფრო გერმანიასა და იტალიას, რომელთაც სწორედ ეს მადნები აკლიათ. ჩვენ არ ვეხებით იდეოლოგიურ მხარეს, რომელსაც არანაკლებ დიდი მნიშვნელობა ექნება იმის და მიხედვით. წითლები თუ თეთრები გაიმარჯვებენ.

ისპანიის მწარე ბედი ცოცხლად გვიჩვენებს, თუ რამდენად საშიშია და დამღუპველი ამა თუ იმ ქვეყნის შინაურ ძალთა ერთმანეთზე გადაკიდება და სამშობლოს საერთო ინტერესების დავიწყება. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ამ ომის მეორე მხარეც. მხედველობაში გვაქვს ბასკების გმი-

რული ბრძოლა ავტონომიურ არსებობისთვის. მათ ისარგებლეს წითელი მადრიდის გაჭივრება და დაარსეს თავისი ეროვნული მართველობა ბილბაოში, რაიცა ბოლოს ორივე დედა-ქალაქის სამხედრო თანამშრომლობით აღიბეჭდა. მაგრამ ფრანკოს ჯარმა აიღო ბილბაო, თვით ბასკეთიც და ამრიგად, ამ ძველთა-ძველ ერს ხელიდან გამოეცალა თავისუფლება. იგივე ბედი მოელის კატალონიას, თუ ფრანკო დაეპატრონა ჯერ მადრიდს და შემდეგ ბარსელონას.

### შორეულ აღმოსავლეთში.

ერთი თვე ძლივს გავიდა, რაც, მდინარე ამურის ერთი კუნძულის რუსების მიერ დაკავების გამო, რაღმე ომმა არ იფეთქა იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის. საჭიროა ერთხელ მოსკოვსაც მიუზღოთ თავისი, ლიტვინოვი მართალი იყო, როცა ამტკიცებდა, ძველი და ახალი ხელშეკრულებით, რომ დაკავებული კუნძული რუსეთს ეკუთვნისო, მაგრამ იაპონიის ულტიმატუმმა ჩქარა დაავიწყა მოსკოვს «იურისპრუდენცია» და სამხედრო ნაწილი კუნძულიდან გაიყვანა. ასე სასიქადულოდ ასრულებს სტალინი თავის დევიზს: «არც ერთი ტკაველი მიწა მტერს!» ეს სამარცხვინო დახევა კიდევ უფრო ზევითა სწევს საბჭოთა სამხედრო პრესტიჟს, ვინემ ტუხაჩევსკის დახვრეტა!

მაგრამ, უნდა ითქვას, ჩქარა დაებადა მოსკოვს რევანშის იმედი: იაპონიის მოქნეული ხმალი ჩინეთს ხვდება, და ეს ხომ მოსკოვის ნატვრის ასრულებაა! თუ დასავლეთში არ დაეტაკენ ჯერ კიდევ დიდი სახელმწიფოები, მიუხედავად მისი ცდისა, იაპონიის დატაკება ჩინეთთან ხომ შეაფერხებს მის გალაშქრებას საბჭოთა წინაამდეგ.

გაზეთების ცნობით, პეკინში უკვე შედგა ჩრდილოეთ ჩინეთის «დამოუკიდებელი მთავრობა», ისე როგორც მუკდენში შედგა 1931 წ. მანჯუკუოს «მთავრობა! როცა ამ სტრიქონებს ვწერთ, სისხლი იღვრის აგრეთვე ტიანძინში, დახოცილ-დაჭრილთა რიცხვი მრავალ ათას აღწევს. ნანკინის დიქტატორმა ჩან-კაი-შეკმა დიდი ჯარი დაძრა უძველეს სტახტო ქალაქის სახსნელადო, იტყობინებიან იქიდანვე. გამოდის, ამრიგად, ომი უკვე დაწყებულია ჩინეთ იაპონიას შორის და იმავე დროს, როგორც წინედ, ის მაინც არაა გამოცხადებული ფორმალურად.

ცხადია, ისპანიის საქმეებში ჩაფლულ ევროპის სახელმწიფოებს თავშიც არ მოსდით ჩაერიონ შორეულ აღმოსავლეთის დავიდარაბაში. იდენი აცხადებს თემთა პალატაში: ინგლისის, ამერიკის და საფრანგეთის ელჩებმა მოწიწებით ურჩიეს ტოკიოს და ნანკინის კაბინეტებს, საომარ გამოსვლებს მოერიდეთო, მაგრამ ასეთი რჩევები როდი სჭრიან, როცა მათ უკან ძალა არა სდგას. და ჰიროტომ, ტოკიოს საგარეო მინისტრმა, უკვე განაცხადა, რომ გარეშე ჩარევას ჩვენ ვერ დავუშვებთო. დავიწყებულია ცხრათა შეთანხმება, რომლის ძალით ჩინეთის ტერიტორიალური ხელუხლებლობა უზრუნველყოფილი იყო. მანჯუკუო პირველი დარღვევა იყო ამ შეთანხმების.

მეორე დარღვევა ჩრდილოეთ ჩინეთის, ე. ი. ხუთი ვეება პროვინციის (ჰოპეი, ჩაჰარ, სუი-იუან, შანსი, შანტუნგ) «განთავისუფლება» იქნება, რა თქმა უნდა. იაპონიას ორი მიზანი აქვს დასახული: 1) ხსენებულ პროვინციების უმდიდრეს მადნეულებათა დაპატრონება და 2) შექმნა ერთგვარ ზურგისა, რათა უფრო ადვილად შესძლოს მომავალში საბჭოთა კავშირთან გამკლავება.

თქმა ადვილია, ხოლო შესრულება—ძნელი. ნანკინი, მრავალი წლის აშენებლობის მეოხებით, უფრო ძლიერია დღეს, ცხადია, თან პატრიოტული აღტყინება ჩინელებისა ზომას აცილებს, მაგრამ მათ მეთაურს არ სურდა ნაადრევად ომში ჩაბმა, ვინაიდან იაპონიის ძლიერება აშკარა იყო მისთვის. მოსალოდნელია, ორივე მხარემ რამე მოდუსი გამონახონ და ომი შეაჩერონ, ეს იქნება მხოლოდ დროებითი ზავი. თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ არც ისე ჩქარა შეიძლება ომის გათავება, არც მისი ლოკალიზაცია, ის ალბად მიიღებს საერთაშორისო ხასიათს და მაშინ დაისმის სწორედ წყნარ ოკეანეზედ ბატონობის კითხვაც.

## ადამიანის უფლებათა ლიგის კონგრესი

31 ივლისს პარიზში გაიხსნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ლიგის კონგრესი, რომელიც ორი დღე გაგრძელდა და რომლის მუშაობაში 12 სხვადასხვა ერის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა.

კონგრესის მუშაობა დაიწყო სხვადასხვა სექციების მოხსენებებით. ქართულ სექციის სახელით ლაპარაკობდა კ. გვარჯალაძე, რომელიც ამბობდა, რომ სექცია დაარსდა ამ 13 წლის წინედ დიდი პოლიტიკური მოღვაწის კ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით, რომელიც ცნობილი იყო არა თუ საქართველოში, არამედ ყველგან რუსეთში და ევროპაში. მომხსენებელი სარგებლობს შემთხვევას და დიდის მადლობით იგონებს ქ-ნ მენან დორიანს, რომლის ოჯახში ქართული სექციის წარმომადგენელნი ყოველთვის დიდის თანაგრძნობით იყვნენ მიღებული და საქართველოს საკითხის პროპაგანდისათვის შესაფერ რჩევებს და დარიგებებს იღებდენ. შემდეგ ის განმარტავს ქართული სექციის მუშაობის ხასიათს, მოაგონებს კრებას, რომ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ლიგამ ამ 13 წლის განმავლობაში სხვადასხვა დროს 3 ჯერ მიიღო რეზოლუცია საქართველოს საკითხის სასარგებლოდ, მადლობას უცხადებს ლიგას და იმედს გამოსთქვამს, რომ ლიგა მომავალშიდაც, როგორც წარსულში, საქართველოს თავის თანაგრძნობას არ მოაკლებს.

საერთაშორისო ლიგის და კონგრესის თავმჯდომარე ბაში მადლობას უცხადებს კ. გვარჯალაძეს ქ-ნ მენან დორიანის მოგონებისათვის და აღნიშნავს მეტად თბილი სიტყვებით იმ დიდ და დაუფა-

სებელ ღვაწლს, რომელიც ქ-ნ მენან დორიანს გაუწევია არა მხოლოდ ქართველებისათვის, არამედ ყველა ქვეყნების სექციების წარმომადგენლებისათვის, რომელთათვის ქ ნ მენან დორიანის ბინის კარები მუდამ ღია იყო და სადაც ყველა ისინი დიდ მორალურ დახმარებას პოულობდენო. რაც შეეხება ქართველებს, ჩვენ ყოველთვის გვქონდა მათდამი თანაგრძნობა და მომავალშიდაც მათ ამის იმედი უნდა ქონდეთო.

თვითოეული სექციის საქმიანობის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ კონგრესმა განიხილა საკითხი ადამიანის უფლებათა დეკლარაციისა, რომელიც გულისხმობდა არა 1789—1793 წლების დეკლარაციის შეცვლას, არამედ მისდამი ზოგი ახალი მუხლების დამატებას, მისი ბაზის გაფართოებას და ადამიანის უფლებათა უნივერსალურ პრინციპზე დაყრდნობას. ამ უნივერსალურ პრინციპის ძალით ადამიანის ცხოვრების უფლება მოითხოვს ცხოვრებისათვის საშუალების ქონებას, ომის მოსპობას და საერთაშორისო თანამშრომლობის დამყარებას. ამ საკითხის მომხსენებელი იყო რენეეტიენი. მოხსენებას დიდი კამათი არ გამოუწვევია და მომხსენებლის რეზოლუცია კონგრესის მიერ ერთხმად იქნა მიღებული.

კონგრესის დღის წესრიგში მეორე დიდი საკითხი იყო—დემოკრატიის საერთაშორისო თავდაცვა ფაშიზმის წინაამდეგ. კრებაზე ამ საკითხმა კი ცხარე კამათი გამოიწვია და მის შესახებ არც რაიმე რეზოლუცია ყოფილა წარმოდგენილი და მიღებული. მთავარი მომხსენებელი იყო გერნიე. მისი მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: მირკინმა, ემილ კანმა, ბრაიტშაიდმა, ჩეხოსლოვაკიის ლიგის წარმომადგენელმა და სხ. ყველანი ისინი ერთხმად აღიარებდენ იტალიის და ისპანიის ფაშიზმის და გერმანიის რასიზმის საშიშროებას ზავის და საერთაშორისო დემოკრატიის წინაამდეგ. მათი აზრით ფაშიზმი ირაზმება ინტერნაციონალურად და ემზადება დემოკრატიაზე ყოველმხრივ თავდასასხმელად, ამიტომ საჭიროა მათ წინაამდეგ უფრო ენერგიული ბრძოლა და თავდაცვის ორგანიზაციაო. ზოგი მათგანი (ემილ კანი, ბრაიტშაიდი) სასტიკად აკრიტიკებდენ ისპანიის საკითხში ინგლისის და საფრანგეთის ჩაურევლობის პოლიტიკას და მოითხოვდენ მათგან უფრო გარკვეულ მოქმედებას ფაშიზმის დასაძლევად. ამ მიზნით თვითოეული დემოკრატია თავს უნდა იცავდეს შინ, ყველა ის სახელმწიფონი კი, რომელნიც დღეს ფაშიზმს უპირდაპირდებიან, უნდა გაერთიანდენ და შეერთებული ძალებით გაუმკლავდენ ომის და რეაქციის საშიშროებასო.

კ. გვარჯალაძე აღნიშნავდა, რომ კონგრესზე არავის მოუხსენებია საბჭ. რუსეთი, რომელსაც არა ერთი და ორი ქვეყნის დემოკრატიის ბედის გადაწყვეტაში უთამაშნია დიდი როლი. მას არ სურს დეტალურად ილაპარაკოს იმის შესახებ, თუ რა ლახვარი ჩასცა საბჭოთა რეჟიმმა თვით რუსეთის დემოკრატიას და ყოველგვარ თავისუფლებას იქ, ან რა დიდი ვნება მოუტანა მან ევროპას, სადაც წარმოშვა და გააძლიერა რეაქცია. ეს ცნობილი ამბავიაო. მაგრამ ის ხაზს უსვამდა იმ დიდ მოვლენებს, რომელსაც დღეს ადგილი აქვს რუსეთში და რომელსაც შეუძლია ჩვენ დაგვაყენოს ზოგ მეტად სახიფათო კომბინაციების წინაშეო. დღეს საბჭოთა რუსეთი დემოკრატიულ ქვეყნებთანაა და ცდილობს მათთან ერთად მოქმედებას, მათ გამოყენებას მიტომ, რომ მას ამ დროებით ფაშისტური სახელმწიფოების ეშინია. ხვალ რომ ასეთი საშიშროება აღარ დაინახოს, რუსეთის დიქტატურას სხვა ქვეყნების დიქტატურასთან გაცილებით მეტი საერთო რამ ექნება, ვიდრე საფრანგეთ-ინგლის-ჩეხოსლოვაკიასთან. ერთი დიქტატურის არსებობა ამაგრებს მეორე დიქტატურას, დმოკრატიის გაძლიერება კი დიქტატურას ასუსტებსო.

კ. გვარჯალაძე მიუთითებს იმაზე, რომ დღეს რუსეთში ხდება ბოლშევიზმის ტრანსფორმაცია. ძველი ბოლშევიზმი მისი იდეოლოგიით, მისი პრინციპებით გამქრალია. ძველები იქ ყველანი გაწყვეტილია. ტერორს იქ ბოლო აღარ უჩანს. ზინოვიევკამენევის, პიატაკოვის და ტუხაჩევსკის შემდეგ, ამ სამი კვირის წინ—10 ივლისს ტფილისში დახვრიტეს 7 კაცი, მათ შორის სოციალდემოკრატი ნ. ქარცივაძე, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, რომელსაც მთელი ქართველი ხალხის საერთო სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული. მასთან ერთად დახვრიტეს აგრეთვე უპარტიო—ექიმი ელიავა, რომელიც ცნობილი იყო არა მხოლოდ საქართველოში, არამედ აქ პარიზში მას კარგად იცნობდენ პასტორის ინსტიტუტის პროფესორებიცო.

რუსეთში აგორებულია მძლავრი ნაციონალისტური და შოვინისტური ტალღა, რომელმაც შთანთქა ბოლშევიკური პარტია და მის ალაგას გააბატონა მოხელეთა კასტა, ბიუროკრატ-ჩინოვნიკობა. სტალინიც ამ მოხელეთა კასტას ეყრდნობა და მათი სურვილის ამღსრულებელია. ბრაიტშაიდი გვიმტკიცებს, თუ გერმანელ რასისტებმა ხელსაყრელად დაინახეს, ბოლშევიკებთან კავშირს არ დაერიდებიანო, მაგრამ მართალია ისიც, რომ, თუ სტალინმა საჭიროდ სცნო ჰიტლერელებთან კავშირი მისი პირადი რეჟიმის გასამაგრებლად, ასეთ კავშირს ის მათთან ადვილად შეკრავს. საამისო ნიადაგი რუსეთში დღეს საკმაოდ მზადდება და სწორედ ეს არის უდიდესი საფრთხე საერთაშორისო ზავის და დემოკრატიისათვისო, ამბობდა ჩვენი წარმომადგენელი.

დაბოლოს ის დაასკვნიდა: ადამიანის უფლებათა ლიგამ, რომლის პირდაპირი მოვალეობაა დაიცვას ინდივიდუალური, თუ ყველა ერთა თავისუფლება და საერთაშორისო დემოკრატია, უნდა იფიქროს არა მხოლოდ იმ საშიშროებაზე, რომელიც მოსალოდნელია ფაშიზმ-რასიზმისაგან, არამედ, განსაკუთრებით, იმ საშიშროებაზედაც, რომლის წინაშე ჩვენ დღეს ვიმყოფებით და რომელსაც საბჭოთა რუსული ნეო-ფაშიზმი ჰქვიანო.

у.

## გერმანული პრესა საქართველოზე

გასულ ივნისის პირველ რიცხვებში ბ. გრიგოლ რობაქიძემ წაიკითხა მოხსენებები როგორც თავისი შემოქმედების, ისე საერთოდ ქართული ლიტერატურისა და ენის შესახებ ცნობილ სამრეწველო ქ. ესენში და მახლობელ ქალაქებში. ადგილობრივმა პრესამ დიდის ყურადღებით და სიმპატიით აღნიშნა ქართველი მწერლის გამოსვლები. მოთავსებულ იქნა ვრცელი წერილები მთელ რიგ ცნობილ გაზეთებში.

19 ივნისს ბერლინის რადიომ გადმოსცა იმავ გრ. რობაქიძის თხზულება «მოკლული სული», სასმენ პიესად გადაკეთებული, რომლის გადმოცემის წინ თვით ავტორმა წაიკითხა რადიოშივე მოკლე შესავალი. გადმოცემა, რომელიც მთელ გერმანიაში და მის გარეშეც ისმოდა, კარგად ჩატარდა და მსმენელებში დიდი ინტერესი გამოიწვია, რაც სათანადო პრესაშიც იქნა აღნიშნული.

გაზეთ «კოლნიშე ფოლკსც.»-მა თავის 2 ივლისის ნომერში გამოაქვეყნა პირველ გვერდზე წერილი: «ეროვნული საქართველო ცოცხლობს!» წერილი ეყრდნობა ბერიას მოხსენებას გასულ მაისის კომუნისტურ ყრილობაზე ტფილისში და თვით ქართველი ერის ამ ჯალათის სიტყვებიდან აშკარად ყოფს ეროვნული მიმართულებების და თავისუფლების სულის სიძლიერეს ქართველ ერში. საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს პატივცემული გაზეთი, რომელიც უდიდესი კათოლიკური ორგანოა გერმანიაში, ქართველი ერის ტრაგედიას და ბრძოლას თავიდანვე დიდის ყურადღებით და თანაგრძნობით ეპყრობა. წარსულ იანვარში მან გამოუშვა (ისე როგორც წინედ მისმა მოძმე ბერლინელმა «გერმანია» იხ. «დამ. საქ.» № 123) მთელი დამატება საქართველოზე სათაურით «ჯვაროსანი რაინდი საქართველო» (იხ. 10 იანვრის ნუმერი), რამდენიმე წერილით და სურათებით. სამწუხაროდ ერთ-ერთ წერილში მოთავსებული იყო ყალბი და ტენდენციური ცნობები საქართველოს ეროვნული მთავრობის წინაამდეგ. მაგრამ ეს რასაკვირველია ერთავად ქართველი ავტორის ბრალი იყო და ა სცვლის პატივცემული გაზეთის აბსოლუტურად კეთილ და ობიექტურ დამოკიდებულებას თავისუფლებისთვის მებრძოლ ქართული ეროვნული ძალების მიმართ.

კვირეულ გაზეთ «ფრიდერიკუს»-ის ივლისის მეორე გამოცემაში ვინმე ერჰარდ ტევესი ათავსებს წერილს ს. ორჯონიკიძეზე სათაურით: «ტფილისელი სისხლის მსმელი ძაღლი». ავტორი სწორად ხატავს ორჯონიკიძის ჯალათურ როლს საქართველოში და ქართველი ერის წამებაზე საერთოდ ვრცლად ჩერდება. მხოლოდ ზოგი შეცდომებისაგან— როგორც ქრონოლოგიურის ისე პოლიტიკური ხასიათის—ამ ავტორსაც ვერ დაუღწევია თავი. მაგალითად ის უსაყვედურებს საქართველოს ეროვნულ მთავრობას, რომ არ ჩაერია რუსეთის სამოქალაქო ომში დენიკინ-კოლჩაკის მხარეზე. მიუხედავად ამისა აღსანიშნავია ავტორის ღრმა თანაგრძნობა ქართველი ერის და მისი ბრძოლისადმი.

ამ სტრიქონების წერის დროს მოდის ცნობა ქართველ კომუნისტ მეთაურთათვის (ბ. მდივნის, მ. ტოროშელიძის და სხვების) სიკვდილით დასჯის გადაწყვეტის შესახებ. მთელი გერმანული პრესა ხელახლა აღნიშნავს ბოლშევიკური პროცესების მთელ საზიზღრობას და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ კომუნისტებს აბრალებდენ ქართველ ეროვნულ პარტიებთან კავშირს და საქართველოს საბჭოთა კავშირისგან გამოყოფის სურვილს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც ამ პატარა მიმოხილვიდანაც სჩანს, საქართველოსადმი როგორც საბჭოთა კავშირის სხვა დაჩაგრულ ერებისადმი ინტერესი გერმანიაში დღითი დღე იზრდება. ეს სჩანს იმ თბილი დამოკიდებულებიდანაც, რომლითაც გერმანული წრეები შეხვდენ კავკასიურ გამოცემას «დი ბეფრაიუნგ»-ს.

## «სიკვდილის ბანაკები საბჭ. რუსეთში»

ამ სათაურით ამას წინად საზღვარ-გარეთ გამოვიდა ყოფილი ჩეკისტის მოგონებანი, სადაც მოთხრობილია სალოვკის კატორღის სხვადასხვა განყოფილებათა ცხოვრება. ავტორი იქ მსახურებდა, როგორც უფროსი, სამი წლის განმავლობაში. ეხლა სამსახურიდან დათხოვნილია და თავის მოგონებებით, თითქოს ინანიებს ყოველსავე იმას, რაც მას იქ სამსახურში ჩაუდენია. ძნელია იმ შთაბეჭდილების გადმოცემა, რომელსაც ამ წიგნის წაკითხვა იწვევს. აქ მოთხრობილი და აწერილია ამ ბანაკების საშინელი ცხოვრება, რომლის დაწვრილებით ჩვენი მკითხველისათვის გაცნობა მეტად საინტერესო იქნებოდა, მაგრამ უადგილობისა გამო შევჩერდებით მხოლოდ იმ ადგილებზე, რომელიც კავკასიელებს და კერძოდ ქართველებს ეხება:

კონდ—კუნძულზე გზავნიან ტუსაღებს დასაღუპავად, იქიდან ცოცხალი არავინ ბუნდება. 1929 წ. ზამთარში 4.850 კაციდან დაიღუპა 4.230. კიდევ უფრო საშინელი იყო 1926-27 წ. ზამთარი, როდესაც ყველა ტუსაღი დაიხოცა. გადარჩნენ მხოლოდ 16 ჩეკისტი და 3 ტუსაღი ქალი, რომლებიც ძალდატანებით ჩეკისტებთან ცხოვრობდენ.

ტუსაღთა უმეტესობას არ ამუშავებენ. მათ არც შეუძლიათ მუშაობა, ისე დაუძლურებულნი არიან. ზამთარ-ზაფხულ დახეულ ტომრებში არიან გახვეულნი, ცხოვრობენ ხის ფარდულებში და ნელნელა კვდებიან. დღეში 300 გრ. უვარგისი პური ეძლევათ და ორჯელ ქერის ნახარში წყალი. ცოცხალ ადამიანებს აღარ ჰგვანან, მთლად ჩაყვითლებული, სრულიად გამხდარნი, დამწვირიანებულნი, დაავადებულნი. «ჩემი იქ ყოფნის დროს, ხუთი თვის განმავლობაში 620 კაციდან მხოლოდ 47 დარჩა ცოცხალი».

ტუსაღები თითქოს შეურიგდენ თავის საშინელ მდგომარეობას, არავინ ხმას არ იღებს, არავითარ პროტესტს ადგილი არა აქვს. სამ წელიწად ნახევარის განმავლობაში მხოლოდ სამჯერ იყო გამოცხადებული პროტესტი და ეს პროტესტანტები იყვნენ

არარუსები. პირველი პროტესტი იყო პოლონელ ნემიროვსკის მხრივ, მეორე პროტესტი გამოაცხადეს აზერბაიჯანელმა მუსავატისტებმა და ქართველებმა.

გეპეუმ მოინდომა ნემიროვსკის მსტოვრად-(ჯაშუშად) აყვანა ინგლისისთვის, რადგან მან ინგლისური კარგად იცოდა და იქ ნაცნობებიც ჰყავდა. ნემიროვსკიმ უარი თქვა და მერე წინადადება მისცეს მსტოვრობა ეკისრა ამხანაგ-ტუსაღების შესახებ. ხოლო რაკი ამაზედაც ვერ დაიყოლიეს, კონდო-კუნძულზე გაგზავნეს და ჩააბარეს ჩეკისტს მხეცს პოტაპოვს დასალუპავად. პოტაპოვმაც ღირსეულად შეასრულა დავალება. აუტანელ ყინვაში ორი დღე ამუშავა ნემიროვსკი ტყეში, სადაც ხელფეხები გაეყინა. ფეხები და ხელები მოსჭრეს და სამი დღით «მუშაობისაგან გაანთავისუფლეს». მაგრამ ნემიროვსკი ოპერაციის მეორე დღეს გარდაიცვალა.

მუსავატისტების და ქართველების პროტესტს ავტორი ასე აგვიწერს:

აზერბაიჯანელებმა უარი თქვეს მძიმე ფიზიკურ მუშაობაზე და მოითხოვეს სამუშაო სპეციალობის მიხედვით. ძალიან კარგიო, უპასუხეს ჩეკისტებმა: ოვსიანკაზე ბევრი სპეციალისტი გვჭირიაო.

ერთს ღამეს აზერბაიჯანელების სადგომს მოადგა ათი მარხილი. ჩეკისტებმა გამოიყვანეს ხელფეხ შეკრული აზერბაიჯანელები, ჩაყარეს მარხილებში და წაიყვანეს ოვსიანკისკენ, რომელიც 22 კილომეტრზე მდებარეობს. ცოტა რომ გაიარეს, მარხილები დააყენეს, ჩეკისტები მივარდნენ ტუსაღებს, დაუწყეს ცემა, გინება და ფეხით გარეკეს ოკსიანკისკენ. იქ დაუყონებლივ უმძიმეს სამუშაოზე დააყენეს, ბევრი დაიღუპა, ხოლო ვინც გადარჩა, კონდ-კუნძულზე გაგზავნეს.

ასეთივე ბედი ეწვიათ სოლოვკის ქართველებსაც.

1927 წ. ხუთ კაცისგან შემდგარ ქართველის ჯგუფმა მოინდომა დღით გაქცევა კემის პუნქტიდან. ორი მათგანი დაეცა შეიარაღებულ ჩეკისტს-ზედამხედველს, წაართვეს თოფი და სამ სხვა ქართველთან ერთად გაიქცნენ, ჩასხდნენ ნავში და წავიდნენ. ნახევარი საათის შემდეგ მდევრები დაეწივნენ და ხუთივე დახვრიტეს.

ქართველი «ბანაკებში» ბევრია. მათ საქმეზე არასოდეს არ გზავნიან ორს ერთად. უმთავრესები სოლოვეცკის კუნძულზე არიან. 1928 წ. 26 ქართველი ერთად მოხვდა, ერთ ადგილზე. ყველანი მძიმე სამუშაოზე იყვნენ დაყენებულნი. მათაც მოითხოვეს სამუშაო სპეციალობის მიხედვით. უარი მიიღეს და სიმშილობა გამოაცხადეს.

მათ უფრო სასტიკად მოეპყრნენ, ვიდრე აზერბაიჯანელებს. არა თუ ხელფეხი შეუკრეს, ზედ ლოგინები გადააცვეს. წაიყვანეს სეკირკას იზოლიატორზე. გზაზე ორმა ქართველმა ჩეკისტის განიარაღება მოინდომა, რისთვისაც ორივე დახოცეს ჩეკისტებმა. დანარჩენი 24 ქართველი ყველა დაიღუპა სეკირკაზე, არც ერთი არ გადარჩენილა.

## მკითხველის წერილები

### მოწოდება ქართველ ემიგრაციისადმი.

ჩვენს მისიას შეადგენს ჩვენი სამშობლოს ინტერესის დაცვა. უნდა ვეძიოთ ყველამ განურჩევლად მიმართულებისა რადიკალური წამალი ჩვენი ერილობის მოსარჩენად. თუ პატარა ერში არ სუფევს ერთსულოვნება, და თუ პატარა ერი არ არის ერთი იდეიით გამსჭვალული თავისი ინტერესების დასაცავად, ერთად არ იბრძვის, იგი ჰქრება, ისპობა და მის ადგილს სხვა იკავებს. ვინც ვერ შეძლო ბრძოლა, ის ამოიშალა საერთო ოჯახიდან, მისი მეობა მოკვდა. სიცოცხლის არსებობა, განვითარება ბრძოლაზეა დამყარებული. ნაყოფიერი ბრძოლა კი მუდამ თხოულობს ორგანიზაციულად დარაზმვას, ერთობას და გაერთიანებას.

ამიტომ მამულიშვილობა გვავალებს ყველას, ერთად ვიმოქმედოთ, ერთად ვებრძოლოთ მტერს, არა დავასუსტოთ ჩვენი მეობა, არამედ ვეცადოთ გავამაგროთ ჩვენი სულიერი მდგომარეობა. შევაგნებიოთ ერთიმეორეს ჩვენი მთავარი დანიშნულება.

თუ გუშინ დავმარცხდით, დღეს გამარჯვება მოგველის, და ეს სრულიად დამოკიდებულია ჩვენზე, თუ როგორ ვაწარმოვებთ ბრძოლას. არ უნდა დავეცეთ სულიერად, არ უნდა ავიღოთ ხელი ბრძოლაზე.

მართალია ბევრი გაჭირვება განვიცადეთ და ვინ იცის, კიდევ რა მოგველის, მაგრამ ვიმეორებ, უნდა ყველამ ხელი-ხელ ჩაკიდებულად ვაწარმოვოთ მედგარი ბრძოლა მტრის წინაამდეგ. არ შეუშინდეთ მძიმე პირობებს. პირიქით შევიარაღდეთ საჭირო მეთოდით და სახსარით ჩვენი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ქართველი ერი მუდამ მედგარი მებრძოლი იყო, ამაყი, გულადი, მისი ბრძოლა მტერს აკვირებდა, და აი ამიტომა ჩვენ აქ მყოფმა თუ იქ მყოფმა ქართველებმა არ უნდა დაუშვათ ძირს მებრძოლი ხმალი, მტერს არ უნდა ვაჩვენოთ, რომ დავსუსტდით, დავიღალეთ. ჩვენი წარსული სავსეა გამარჯვებით, სივაჟკაცით, სულიერი სიმაგრით, სიამაყით გმირებით, ჩვენი წარსული ისტორიის ფურცლები სანეტაროა, სახარბიელოა. გავყვეთ ამ გაკაფულ გზას, არ გადავუხვიოთ, პირნათლად შევასრულოთ წარსულის ანდერძი, რომ იარსებოს ჩვენმა სამშობლომ.

საქართველო ჩვენი გულია და მან რომ მუდამ იცოცხლოს, იარსებოს, მაგარი იყოს, ჯამრთელი, მივაწოდოთ მას, რაც კი საჭიროა მისი კეთილდღეობისთვის. სამშობლოს სიყვარული გვავალებს ერთიმეორე მოვნახოთ, ერთად ვიბრძოლოთ, და ერთად მედგრად ვაშა შევსძახოთ ჩვენს გამარჯვების იდეას.

შეუდრეკელი ბრძოლა მტრის წინაამდეგ. ბრძოლა არ გათავებულა, ის იწყება და როდის გათავდედება, ჩვენ არ ვიცით, ხოლო ერთი რამ ნათელია,

სანამ ჩვენ დამოუკიდებლობას არ ვეღირსებით და არ გავხდებით ბატონ პატრონი ჩვენი ქვეყნის, მანამდის ჩვენ გვმართებს ბრძოლა, ბრძოლა შეუდრეკელი, ჩვენი დასვენება შეუძლებელია.

მოსკოვის დამხობა მოახლოვებულია. ვკითხოთ ჩვენს თავს: ვართ თუ არა სათანადოდ მომზადებულნი სანეტარო მომენტისათვის? როდესაც საქართველოს ზარები ახმაურდებიან და მოგვიწოდებენ მისაშველებლად სამშობლოს განსათავისუფლებლად, ვართ თუ არა ორგანიზაციულად მოწყობილნი? გვაქვს სათანადო გეგმა? ვართ თუ არა შეერთებულნი?

დრო არის, ვიზრუნოთ ამისთვის!

ვ. გუნია.

## ვინ არიან ხევსურები

ორიგინალურ ჰიპოტეზას გამოსთქვამს ხევსურების წარმოშობის შესახებ იტალიელი მკვლევარი **Maftula Fajner** ნეაპოლის აღმოსავლეთურ უმაღლეს ინსტიტუტის «ანნალებში» (1936 წ. ტ. VIII). მისი აზრით, ხევსურები არიან ხაზარები.

ხაზარების შესახებ ნამდვილი ცნობები მოიპოვება მეორე საუკუნიდან, როცა მათ ეკავათ ფართო ტერიტორია კავკასიონის ჩრდილოეთით. ჰუნების მოსვლის შემდეგ ხაზარების ხსენება აღარაა, ხოლო კვლავ გამოჩნდებიან მეოთხე საუკუნეში. ისინი განთავისუფლდებიან ჰუნებისაგან და შექმნიან ძლიერს სახელმწიფოს და ხშირად უტევენ ბიზანტიას, სომხეთს, საქართველოს და სპარსეთს. მეშვიდე საუკუნეში არაბები შეაჩერებენ მათ სვლას სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ. მაშინ ხაზარები მიაწვებიან შავი ზღვის ნაპირებს, ბალკანეთს და ბოლოს დამკვიდრდებიან ყირიმში. მეცხრე საუკუნეში მათ ეპყრათ ახლანდელი რუსეთის სამხრეთის დიდი ნაწილი. მეათე საუკუნიდან მათ წინაამდეგ ილაშქრებენ სლავიანები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს ერთიან ანადგურებენ.

ხაზარები ძალიან მამაცი და მებრძოლი ერი იყო. ჰქონდათ მონარქიული წყობილება, მისდევდენ მესაქონლეობას და მიწათმოქმედებას. მეფე და მაღალი წოდება ებრაულ სარწმუნოებას აღიარებდენ, ხალხში კი გავრცელებული იყო მაჰმადიანობა, ქრისტიანობა და მოსეს რჯული. ჩვენი მკვლევარის სიტყვით, პირველი ცნობები ხაზარების შესახებ ამოღებულია ებრაულ ისტორიულ წყაროებიდან. ებრაულად კი ხაზარი გამოითქმის ხევსარი. ამიტომაო, გვეუბნება ავტორი, ხევსური არის იგივე ხევსარი. როდესაც ხაზართა სამეფო დაიმხო, ხაზარები აქეთ-იქით გაიფანტნენ და ნაწილმა კავკასიონის მთებში შეაფარა თავიო და აი ესენი არიან დღევანდელი ხევსურებიო. ავტორს ისიც მოყავს საბუთად, რომ ხევსურების ბევრი ზნე-ჩვეულება ებრაული წარმოშობისა არისო.

## მუხის თაყვანისცემა ბასკებში

ხე-ტყის თაყვანისცემა ქართული მითოლოგიის ერთი არსებითი ნაწილთაგანია. ეს ჩვეულება ჩვენში დღემდის არაა გამქრალი, განსაკუთრებით მთა-ადგილებში. ხეებში თვალსაჩინო ადგილი უკავია მუხას. ამას მოწმობს, სხვათა შორის, ჭყონდიდის (მარტვილის) განთქმული ეკლესია, რომელიც ალბად აგებული იყო ძველი წარმართული კულტის დიდი მუხის (ჭყონ-დიდის) ალაგას. ამ ეკლესიის მთავარ ეპისკოპოსი ჭყონდიდელი ხომ მეთერთმეტე საუკუნიდან პირველი ვაზირის თანამდებობას ასრულებდა.

მუხას დიდი პატივით ეპყრობოდენ ძველი ბერძნები და მათი ტაძრები გარემორტყმული იყო მუხის ხეებით; ასევე ღვთაებრივი მნიშვნელობა ჰქონდა მუხას გალებში. მაგრამ განსაკუთრებული მიმზიდველობა და კულტი აქვს მუხას ბასკებში. ამას წინად ესპანეთის ბასკეთის ისტორიული ქალაქის გერნიკას დაქცევაზე რომ იყო ცნობები, დეპეშები ექვსას წლოვანი მუხის დაღუპვასაც იხსენიებდენ. როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს მუხა არ დაზიანებულა და ისევ უვნებლად დგას.

საზოგადოდ მუხა ბასკური ეროვნული ნიშანია და მისი გამოხატულობა ამშვენებს მათ დროშებს, ემბლყმებს, სამკაულებს.

დღესაც უყვართ ბასკებს მუხის ჩრდილში შეკრება და დღესასწაულის მოწყობა. ხოლო ძველად მუხის ძირში იმართებოდა სასამართლო, საერო კრებები და წყდებოდა სახელმწიფო საქმეები. გასული საუკუნის ბოლოს ბასკების ეროვნული აღორძინება რომ დაიწყო, პირველი ეროვნული მანიფესტაციები გერნიკას მუხის გარშემო იმართებოდა.

ბასკეთის ბევრი სახელი დაკავშირებულია მუხის სიტყვასთან: არმენდარიც—არმენდის მუხები, უსტარიც—მუხების მხარე, ისპურ—მუხნარი, ბიარიც—ორი მუხა.

უცხოეთში გარდახვეწილი ბასკებიც არასოდეს ივიწყებენ მუხის პატივისცემას. არგენტინაში ერთ ბასკურ გაზეთს «მუხა» ეწოდება. თავისუფლების მოყვარე ბასკისთვის ყველგან და ყოველთვის მუხა არის გამომსახველი ეროვნული სულის, რაობის, ვინაობის, ეროვნული ტრადიციების, ეროვნული სიმტკიცის და გამძლეობის.

გაზეთისათვის დასაბეჭდი მასალები და ფული
უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
M-r PIRTSKALAVA
10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France.

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville.*
.Le Gérant : A. LARGILLIÈRE.

P-1204